



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
KORNELI KEKELIDZE GEORGIAN NATIONAL
CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი . TBILISI
2025

ნინო და კალისტრატე სალიები

არქივი დაამუშავეს და აღწერილობა შეადგინეს
ცისანა ბიბილეიშვილმა და ეთერ ქავთარაძემ

არქივი გადაამუშავა, აღწერილობა შესავლითა და
საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა შორენა მურუსიძემ

წინამდებარე აღწერილობა მომზადდა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სერით „პირადი არქივების აღწერილობა“. ნინო და კალისტრატე სალიების საარქივო ფონდი მოიცავს 900 ერთეულს. მასალა თემატურად მრავალფეროვანია. არქივში დაცულია სალიების ბიოგრაფიის, საზოგადოებრივი საქმიანობისა და შემოქმედების ამსახველი დოკუმენტები, ასევე მიმოწერა და ფოტოები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი და უცხოელი ქართველოლოგების პირადი წერილები. ნინო და კალისტრატე სალიების არქივში დაცული დოკუმენტები მნიშვნელოვანი წყაროა საბჭოთა კავშირის დროს საქართველოსა და ემიგრაციაში მყოფი ქართველი მკვლევრების, ასევე უცხოელი ქართველოლოგების საქმიანობისა თუ მათი ერთობლივი ნაშრომების შესწავლის თვალსაზრისით.

სერიის მთავარი რედაქტორი

აპოლონ თაბუაშვილი

ტომის რედაქტორი

ქეთევან ხითარიშვილი

სერიის სარედაქციო კოლეგია

ზაზა აბაშიძე, ალექსანდრე ბოშიშვილი, შალვა გლოველი, ლანა გრძელიშვილი, ვლადიმერ კეკელია, შორენა მურუსიძე, თამარ ოთხმეზური, ელენე ჩაგელიშვილი, დალი ჩიტუნაშვილი, თამარ ჭუმბურიძე, ქეთევან ხითარიშვილი.

ISSN 1987-5304

ISBN 978-9941-9960-7-8

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2025

DESCRIPTION OF PRIVATE ARCHIVE 8

NINO AND KALISTRATE SALIAS

The research and description of the archive, were carried out by

Tsisana Bibileishvili and Eter Kavtaradze

The archive was described and prepared for publication, with the
introductory letter and index by **Shorena Murusidze**

The present book is a part of the series "Descriptions of the Private Archives", published by the Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts. The Archival collection of Nino and Kalistrate Salia comprises 900 units of thematically diverse materials. It includes documents, representing biography, social, literary, and scholarly activities, correspondence, and photos of Nino and Kalistrate Salia. The personal letters of Georgian and foreign Kartvelologists, preserved in the Salia's archive deserve special attention, alongside other documents which are considered an important source for the study of scholarly activities and coauthored works of Georgian researchers living in Georgia, Georgian émigrés and foreign Kartvelologists in the Soviet period.

Editor the Series

Apolon Tabuashvili

Editor of the Issue

Ketevan Khitarishvili

Editorial Board

Zaza Abashidze, Aleksandre Boshishvili, Shalva Gloveli,
Lana Grdzlishvili, Vladimer Kekelia, Shorena Murusidze,
Thamar Otkhmezuri, Elene Chagelishvili, Ketevan
Khitarishvili, Dali Chitunashvili, Tamar Chumburidze.



ნინო და კალისტრატე სალიები

სარჩევი

შესავალი	11
I. ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა	
კალისტრატე სალია	15
ნინო სალია.....	24
სალიების ერთობლივი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა.....	27
ნინო და კალისტრატე სალიების ფოტოები	31
II. კალისტრატე სალიას შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა	34
III. მიმოწერა	
კალისტრატე სალიას წერილები სხვადასხვა პირს	35
ნინო სალიას წერილები სხვადასხვა პირს	50
კალისტრატე და ნინო სალიების წერილები სხვადასხვა პირს.....	59
სხვადასხვა პირის წერილები კალისტრატე სალიას	60
სხვადასხვა პირის წერილები ნინო სალიას	133
სხვადასხვა პირის წერილები კალისტრატე და ნინო სალიებს.....	154
IV. სხვადასხვა	195
V. საძიებელები	
პირთა.....	203
გეოგრაფიულ სახელთა	217
რეზიუმე.....	221

შესავალი

კალისტრატე სალია (1900-1986 წწ.) დაიბადა 1900 წლის 28 აგვისტოს ზუგდიდის მაზრის (დღევანდელი წალენჯიხის რაიონი) სოფ. ჯგალში. დაწყებითი განათლება მიიღო ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელსა და ხაშურის გიმნაზიაში, ხოლო 1920 წელს თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. 1922 წელს კი სხვა 62 პატიმართან ერთად საზღვარგარეთ გაასახლეს. ემიგრაციაში წასვლის შემდეგ კალისტრატე სალიამ დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტთან არსებული გერმანული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი, ხოლო 1924 წელს ჩააბარა სორბონის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

კალისტრატე სალიამ სწავლის დასრულების შემდეგ დაიწყო სამეცნიერო საქმიანობა. იგი იკვლევდა საქართველოსა და ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს. მისი გამოკვლევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნებული „ქართველი ერის ისტორია“ (1980, 1983), რომელმაც ევროპის მეცნიერთა მაღალი შეფასება და საფრანგეთის აკადემიის ჯილდო დაიმსახურა. ასევე საინტერესოა ჟურნალში „ბედი ქართლისა“ გამოქვეყნებული კალისტრატე სალიას ფრანგულენოვანი ნაშრომები „ქართველი ბერები და მონასტრები საზღვარგარეთ“ (№34-35, 1960), „შენიშვნები ქართული ანბანის წარმოშობისა და ასაკის შესახებ“ (№15-16, 1963), „ქართულიზანტიური ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა“ (№33, 1975) და სხვ.

კალისტრატე სალია იყო ლუვენის, ოსლოს, ბამბერგის, ბორდოს უნივერსიტეტებისა და პარიზის კათოლიკური ინსტიტუტის საპატიო დოქტორი, პარიზის სააზიო, საისტორიო და ლინგვისტური საზოგადოებისა და ბიზანტინოლოგიური საზოგადოების, ასევე – საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრი. 1964 წლიდან, 15 წლის განმავლობაში, მას ყოველწლიურად ირჩევდნენ მეცნიერული პრესის საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტად. ამავე დროს, იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი.

კალისტრატე სალია, სამეცნიერო მოღვაწეობის გარდა, პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა. ის სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის. 1924 წელს ემიგრაციაში დაარსებული ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური ორგანიზაციის – „ეთერი გიორგის“ – აქტიურ წევრად ითვლებოდა. პოლიტიკური ხასიათის სტატიებს აქვეყნებდა ემიგრანტულ პერიოდულ პრესაში.

კალისტრატე სალია სამეცნიერო და პოლიტიკურ საქმიანობას წარმართავდა მეუღლის, ნინო სალიას (1898-1992), აქტიური მხარდაჭერითა და დახმარებით. ნინო სალია-ქურციკაშვილი კახეთში, სოფელ ვარდისუბანში, დაიბადა. სწავლობდა პეტერბურგსა და ვარშავაში. ის პროფესიით ექიმი იყო, თუმცა მისი საქმიანობა მთლიანად მოიცავდა საქართველოსა და ქართული კულტურის ისტორიის საკითხების კვლევას. ნინო სალიას სამეცნიერო ნაშრომებიდან აღსანიშნავია მის მიერ ჟურნალში „ბედი ქართლისა“ ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული სტატიები: „ცნობები წმ. ნინოს მიერ საქართველოს მოქცევის შესახებ“ (1966, №50-51), „პორტუგალიური მასალები ქეთევან დედოფლის წამებაზე“ (1973, №31), „ქართული მეცნიერული კულტურის ძეგლები (1971, №38) და სხვ.

ნინო და კალისტრატე სალიებს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით ევროპაში ქართველოლოგიური კვლევების მხარდაჭერისა და დახმარების საქმეში. ამ მხრივ განსაკუთრებით

აღსანიშნავია 1948 წელს მათი ინიციატივითა და სახსრებით დაარსებული ისტორიულ-ლიტერატურული ჟურნალი „ბედი ქართლისა“, რომელიც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ევროპაში ერთადერთი სამეცნიერო ქართველოლოგიური პერიოდული ორგანო იყო. „ბედი ქართლისამ“ თავის გარშემო შემოიკრიბა უცხოეთში მოღვაწე ქართველოლოგები. სტატიები იბეჭდებოდა ქართულ, ფრანგულ, იტალიურ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე. აქ ქვეყნდებოდა როგორც ცნობილი ევროპელი ქართველოლოგებისა და ორიენტალისტების, ასევე ქართველი მეცნიერების ნაშრომები. შესაბამისად, ამ ჟურნალში აისახებოდა ქართველოლოგიის დარგის მიღწევები საქართველოსა თუ ევროპაში. ნინო და კალისტრატე სალიები ეხმარებოდნენ დამწყებ უცხოელ ქართველოლოგებს. ცდილობდნენ სამეცნიერო კვლევები ქართველ მეცნიერებთან მჭიდრო კავშირში წარემართათ.

„ბედი ქართლისას“ 1975 წლის 30-ე ნომერი საქართველოს მიეძღვნა. მასში ინგლისურ ენაზე დაიბეჭდა კალისტრატე და ნინო სალიების, ვახტანგ ბერიძის და გრიგოლ ჩხიკვაძის ვრცელი ნაშრომი „საქართველო“ (გეოგრაფია, ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება, მუსიკა).

1980 წელს ნინო და კალისტრატე სალიებმა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცეს თავისი ბიბლიოთეკა და მემორიალური ნივთები. წიგნადი ფონდი მდიდარია რარიტეტული ქართველოლოგიური და ორიენტალისტური ლიტერატურით, ლექსიკონებით, ენციკლოპედიებითა და სხვა უნიკალური გამოცემებით. აქ დაცულია 4400 ერთეული წიგნი და პერიოდული გამოცემა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, ბერძნულ, ესპანურ, ლათინურ და სხვა ენებზე. სალიების წიგნადი ფონდის ბაზაზე ხელნაწერთა ინსტიტუტში შეიქმნა ნინო და კალისტრატე სალიების მემორიალური კაბინეტი. 1985 წელს კი ნინო სალიამ ხელნაწერთა ინსტიტუტს პირადი არქივიც გადასცა.

ბიბლიოთეკისა და არქივის გარდა, სალიებმა ხელნაწერთა ინსტიტუტს გრიგოლ რობაქიძის არქივი, ასევე მიხეილ წერეთლის,

მიხეილ თარხნიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის წერილებიც შესწირეს.

ნინო და კალისტრატე სალიების პირადი არქივი 2010 წელს დაამუშავა ცისანა ბიბლიეიშვილმა. 2018 წელს არქივი დამატებითი მასალებით შეივსო, რის შემდეგაც პირადი არქივი გადაამუშავა და აღწერილობა შეადგინა ეთერ ქავთარაძემ. არქივის დამატებითი ნაწილის გერმანული და ფრანგული საარქივო ერთეულები გაარჩიეს ნინო მელიქიშვილმა და ეთერ ბერუაშვილმა. 2023-2024 წლებში სალიების პირადი არქივი ხელახლა გადაამუშავა, აღწერილობა შესავლითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა შორენა მურუსიძემ.

I. ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

კალისტრატე სალიას ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. პარიზის უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის მიერ კალისტრატე სალიას სახელზე გაცემული ცნობა გამოცდების წარმატებით ჩაბარების შესახებ.

1928 წ. 2 თებერვალი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

2. კალისტრატე სალიას სახელზე გაცემული ცნობა პარიზის უნივერსიტეტში გამოცდების ჩაბარების შესახებ.

1938 წ. 28 თებერვალი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, იქვე გერმანული თარგმანი, 2 ფ.

3. CNRS-ის (საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი) მიერ კალისტრატე სალიას სახელზე გაცემული სერტიფიკატი იმის დასტურად, რომ ის არის „ბედი ქართლისას“ გამომცემელი.

1963 წ. 1 ივლისი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ბ. ლეპეტრის ხელმოწერით (B. Lepetre), 1 ფ.

4. კალისტრატე სალიას სახელზე გაცემული ოსლოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდების სიგელი.

1965 წ. 23 ივნისი, ოსლო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ჰანს ფოგტის ხელმოწერით, იქვე სიგელის ფოტო, 2 ფ.

5. კალისტრატე სალიას სახელზე გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ ის არის „ბედი ქართლისას“ გამომცემელი.

1965 წ. 16 ივლისი, რომი.

მანქანაზე ნაბეჭდი, იტალიურ ენაზე, ხელს აწერს პროფესორი ლეო მაგნინო, 1 ფ.

6. კალისტრატე სალიას სახელზე გაცემული ოსლოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის წოდების სიგელი.

1965 წ. 23 დეკემბერი, ოსლო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელს აწერენ: პანს ფოგტი, იოზეფ მოლიტორი, ლეო მაგნინო, ჟერარ გარიტი, შარლ მერსიე, იქვე 2 ფოტოასლი და 1 ქსეროქსი, 4 ფ.

7. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 50 წლისთავთან დაკავშირებით შექმნილი მთავრობის საიუბილეო კომიტეტის მიმართვა კალისტრატე სალიას. სთხოვენ დაესწროს იუბილეს.

1968 წ. 17 სექტემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელს აწერენ: ვიქტორია სირაძე და ილია ვეკუა, 1 ფ.

8. ხმელთაშუა ზღვის აკადემიის მიერ კალისტრატე სალიას საპატიო აკადემიკოსად არჩევის საბუთის ფოტო.

1968 წ. 15 ნოემბერი, რომი.

სტამბურად ნაბეჭდი, იტალიურ ენაზე, ორ ეგზემპლარად, ერთი ფოტოასლი გახეული, 2 ფ.

9. საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის ჟ. ფერიეს მიერ კალისტრატე სალიას სახელზე გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ ის ნამდვილად არის ქართველოლოგიური ჟურნალის რედაქტორი, რის საფუძველზეც სთხოვს საფრანგეთისა და უცხოეთის ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და არქივების დირექტორებს, ხელი შეუწყონ მუშაობაში.

1970 წ. 30 სექტემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

10. გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული რენე ლაფონის საპასუხო წერილი, რომელიც ეხება იოსებ მეგრელიძის გამომხაურებას კალისტრატე სალიას შესახებ.

1971 წ. 13 მარტი.

ამონაჭერი გაზეთიდან „ლიტერატურული საქართველო“, 1 ფ.

პირი: იოსებ მეგრელიძე.

11. „ბედი ქართლისას“ რედაქციის სამეცნიერო საბჭოს მისალოცი სტატია კალისტრატე სალიას 70 წლისთავთან დაკავშირებით.

[1971 წელი].

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, 2 ფ.

12. სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის, [ანრი] პერონინის, მიმართვა. სთხოვს სამეცნიერო დაწესებულებებს, ხელი შეუწყონ კალისტრატე სალიას კვლევაში საფრანგეთსა და საზღვარგარეთ.

1978 წ. 16 იანვარი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, ორ ეგზემპლარად, 2 ფ.

13. CNRS-ის (საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი) სახელით ანრი პერონინის შეტყობინება კალისტრატე სალიას. აცნობებს, რომ ჟურნალისტის გამოუყვეს 500 ფრანკი.

1980 წ. 19 მარტი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

14. საფრანგეთის აკადემიის წერილი კალისტრატე სალიას. ატყობინებენ, რომ საფრანგეთის აკადემიამ იგი დააჯილდოვა 3000 ფრანკით წიგნისთვის „ქართველი ერის ისტორია“.

1980 წ. 22 მაისი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, 2 ფ.

15. საფრანგეთის აკადემიის წლიური საჯარო სხდომის მოსაწვევი. კალისტრატე სალიას იწვევენ სხდომაზე დასასწრებად. ახლავს

სხდომის დღის წესრიგი.

1980 წ. 18 დეკემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 2 ფ.

პირი: პოლ მორანდი, ჟან მისტლერი, ჟან დიუტური.

16. მიშელ ვან ესბროკის რეცენზია კალისტრატე სალიას წიგნზე „ქართველი ერის ისტორია“.

[1980 წელი].

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ელ. მეტრეველისა და მიშელ ვან ესბროკის მინაწერებით, 2 ფ.

17. ჟან-პიერ მაეს რეცენზია კალისტრატე სალიას წიგნზე „ქართველი ერის ისტორია“. ფრანგულიდან თარგმნილი გასტონ ბუაჩიძის მიერ.

1981 წ. 27 მარტი.

ამონაჭერი გაზეთიდან „ლიტერატურული საქართველო“, ქსეროასლი, 2 ფ.

18. კალისტრატე სალიას სამეცნიერო პრესის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტობის დამადასტურებელი ცნობა.

1981 წ. 24 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

19. ალექსანდრე ბარამიძის, ელენე მეტრეველისა და ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშიას პუბლიცისტური წერილი „კალისტრატე სალია 80 წლისაა“.

1981 წ.

ამონაჭერი ჟურნალიდან „მაცნე“ (№3), 3 ფ.

20. "Journal Asiatique"-ში დაბეჭდილი ჟან-პიერ მაეს რეცენზია კალისტრატე სალიას ნაშრომზე „ქართველი ერის ისტორია“.

1981 წ.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ქსეროასლი, კალისტრატე სალიას მინაწერებით, 3 ფ.

21. ჟან-პიერ მავს რეცენზია კალისტრატე სალიას წიგნზე „ქართველი ერის ისტორია“. ფრანგულიდან თარგმნილი გასტონ ბუაჩიძის მიერ.

[1981 წ.]

მანქანაზე ნაბეჭდი, 5 ფ.

22. ამონარიდი ჟან-პიერ მავს რეცენზიიდან კალისტრატე სალიას წიგნზე „ქართველი ერის ისტორია“.

[1981 წ.]

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 3 ფ.

23. ივეტ გრიმოს წერილი ბრიჯიტ შნეიდერს. სწერს, რომ სურს კალისტრატე სალიას ჟურნალში გამოაქვეყნოს პროფესორ მ. შნეიდერის ნეკროლოგი.

1982 წ. 25 აგვისტო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ტოპონიმი: ლა ლუვესვი.

24. კალისტრატე სალიას მიმართვა მკითხველისადმი. იუწყება, რომ 1982 წლის ბოლომდე გამოვა „ქართველი ერის ისტორიის“ II გამოცემა, რომელიც დაბეჭდვამდე შეაფასეს ქართველმა მეცნიერებმა. აღნიშნავს, რომ მათი შენიშვნები გაითვალისწინა. ყურადღებას ამახვილებს „ბედი ქართლისას“ დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე.

1982 წ. 5 სექტემბერი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 2 ფ.

ტოპონიმი: თბილისი.

პირი: კეტრინ ვივიანი, ალექსანდრე ბარამიძე, ჟორჟ დიუმეზილი, ელენე მეტრეველი, ვახტანგ ბერიძე, ილია ტაბაღუა, გიორგი მელიქიშვილი, ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშია.

25. ელენე მეტრეველის მიმართვა კალისტრატე სალიას. სთხოვს „ქართველი ერის ისტორიის“ 50-50 ეგზემპლარს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

1983 წ. 14 თებერვალი, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

26. CNRS-ის (საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი) სახელით ა. კარტუს წერილი კალისტრატე სალიას. აცნობებს, რომ სათანადო სამსახურს გაუწევენ მითითებულ მისამართზე ამერიკაში.

1983 წ. 7 აპრილი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

27. კალისტრატე სალიას სახელზე გაცემული სერტიფიკატი. CNRS-ის (საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი) დირექტორი გ. ლილამანდი ადასტურებს, რომ მათი დახმარებით გამოდის „ბედი ქართლისა“. სთხოვს არქივების, უნივერსიტეტების, მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებს საფრანგეთში თუ საზღვარგარეთ, თავიანთ დაწესებულებებში კვლევისთვის დაუშვან „ბედი ქართლისას“ გამომცემელი კალისტრატე სალია.

1983 წ. 25 აპრილი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

იქვე იგივე სერტიფიკატი ანრი პერონინის ხელმოწერით.

28. კალისტრატე სალიას დეკლარაცია საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს. აცნობებს, რომ 3 ეგზემპლარად წარუდგენს „ქართველი ერის ისტორიის“ ინგლისურ თარგმანს.

1983 წ. 18 ივლისი, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

29. მოწმობა კალისტრატე სალიას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

1983 წ. 13 ოქტომბერი, თბილისი.

სტამბურად ნაბეჭდი, ქართულ, ფრანგულ და რუსულ ენებზე, ხელს აწერენ: ვეგენი ხარაძე და ემილ სეხნიაშვილი, 3 ფ.

30. ამონარიდი აკაკი შანიძის მისალოცი წერილიდან კალისტრატე სალიასადმი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევასთან დაკავშირებით.

1983 წ. 17 ოქტომბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

31. მონაცემები კალისტრატე სალიას სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ.

1983 წ. 15 ნოემბერი, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

პირი: ნინო სალია.

32. ევგენი ხარაძის შეტყობინება კალისტრატე სალიას მისი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად არჩევის შესახებ.

1983 წ.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

იქვე კალისტრატე სალიას პასუხი ევგენი ხარაძეს. მადლობას უხდის მას და ყველა იმ აკადემიკოსს რომლებმაც მხარი დაუჭირეს მის საპატიო აკადემიკოსად არჩევას.

33. სამეცნიერო პრესის ინტერნაციონალური კავშირის წერილი კალისტრატე სალიას. აცნობებენ, რომ უპასუხეს ბერნარ უტიეს ცირკულარულ წერილს.

1984 წ. 18 ნოემბერი, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, ბლანკზე, 1 ფ.

34. ელენე მეტრეველის მიერ კალისტრატე სალიას ფერფლის გადმოსვენების დროს წარმოთქმული სიტყვა.

1988 წ. 27 თებერვალი.

ავტოგრაფი, 18 ფ.

პირი: მიშელ ვან ესბროკი, ბერნარ უტიე, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, მიხეილ წერეთელი, მიხეილ თარხნიშვილი, გრიგოლ რობაქიძე.

35. სერგო თურნავას მოხსენებითი ბარათი ზაზა ალექსიძეს. აცნობებს, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტს გადასცემს კალისტრატე სალიასა და რ. სტივენსონის წერილებსა და მასალას.

1990 წ. 14 მაისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ი. კენჭოშვილი.

ტოპონიმი: პარიზი.

36. კალისტრატე სალიას სახლ-მუზეუმის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელ სერგო ჯაფარიძის მიერ შედგენილი თემატურ-საექსპოზიციო გეგმა.

1990 წ.

მანქანაზე ნაბეჭდი, ელენე მეტრეველის მინაწერით, 22 ფ.

პირი: სერგო თურნავა, იოსებ მეგრელიძე, ელენე მეტრეველი, თ. სალია, რ. სალია, ილია ტაბაღუა, ნინო ქაჯაია, გურამ შარაძე, გ. შატბერაშვილი.

37. გრიგოლ აბაშიძის პუბლიცისტური წერილი „დიდი დამსახურების დაფასება“. სტატია ეძღვნება კალისტრატე სალიას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევას.

უთარილო.

ქსეროასლი, 1 ფ.

38. კალისტრატე სალიას ავტობიოგრაფია.

უთარილო.

ავტოგრაფი, შავი, ნაწილობრივ ქსეროასლი, შედგენილი კალისტრატე სალიას მიერ, ორ ეგზემპლარად, პირველი ეგზემპლარი 6 ფ., მეორე – 3 ფ.

პირი: ზოსიმე სალია, გაიანე კვარაცხელია, ივანე ჯავახიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, მიხეილ წერეთელი, მიხეილ თარხნიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ჰანს ფოგტი, რენე ლაფონი, ჟორჟ დიუმეზილი, ჟერარ გარიტი, შარლ მერსიე, იოზეფ მოლიტორი.

ტოპონიმი: ჯგალი, წალენჯიხა, გერმანია, პოლონეთი, ბერლინი, პარიზი.

39. კალისტრატე სალიას მიერ პოლიციის პრეფექტურაში წარსადგენად მომზადებული ანგარიში საგამომცემლო საქმიანობის შესახებ.

უთარილო (თარიღი მოხეულია), პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

**ნინო სალიას ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი
მოღვაწეობის ამსახველი მასალა**

40. ნინო სალიას სარეგისტრაციო ბარათი ორიენტალისტთა საერთაშორისო კონფერენციაზე დასწრების შესახებ.

1964 წ.

სტამბურად ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ.

41. ნინო სალიას ნოტარიულად დამტკიცებული ხელწერილი თავისი ბიბლიოთეკის ნაწილის ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის გადაცემის შესახებ.

1976 წ. 10 ნოემბერი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

42. ილია ვეკუას, გიორგი ჩიტაიასა და ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშიას მილოცვა ნინო სალიას საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრად არჩევასთან დაკავშირებით.

1977 წ. 21 მარტი, თბილისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

43. ნინო სალიას დეკლარაცია შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ნაციონალურ ბიბლიოთეკას. აცნობებს, რომ აპირებს „ვეფხისტყაოსნის“ მიხაკო წერეთლისეული ტექსტის გამოცემას 250 ტირაჟით.

1977 წ. 29 აგვისტო, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

44. ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის გადაცემული ნინო სალიას ბიბლიოთეკის წიგნების სია.

[1977 წ.]

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 3 ფ.

45. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ევგენი ხარაძისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორ ელენე მეტრეველის მიერ გაცემული ცნობა იმის შესახებ, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებობს ნინო სალიას წიგნადი ფონდი, რომელიც შედგება მის მიერ ინსტიტუტისთვის საჩუქრად გადაცემული წიგნებისგან.

1979 წ. 3 ივლისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

46. ხელნაწერთა ინსტიტუტის კომისიის მიერ შედგენილი აქტი ნინო სალიას შემოწირული პირადი ნივთების ინვენტარიზაციის შესახებ.

1980 წ. 4 ივნისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, ასლი, 3 ფ.

პირი: ელ. მეტრეველი, ვ. ბერიძე, ე. ხოშტარია, მზია თვაური, ნ. ქაჯაია.

47. ნინო სალიასთვის გაგზავნილი პეეტერსის გამომცემლობის წიგნების სია.

1981 წ. 17 მარტი, ლუვენი-პარიზი.

ფრანგულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

48. ელენე მეტრეველის დასაბუთება პარიზში გამგზავრების აუცილებლობის თაობაზე ნინო სალიას ანდერძის გასაფორმებლად და გამოყოფილი ფონდის გამოყენებასთან დაკავშირებით.

[1985 წ.]

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ასლი, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ნიკოლოზ ჯანაშია.

49. მარსელ რუსოს წერილი [ელენე მეტრეველს]. აცნობებს, რომ ჟ. პ. მაესა და ანი მაესთან შეთანხმებით უგზავნის დამატებით წიგნებს ნინო სალიას კოლექციის შესავსებად.

1986 წ. 30 ივნისი, ლიონი-თბილისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

50. ნინო სალიას ბიოგრაფია.

უთარილო (20 იანვარი), პარიზი.

კალისტრატე სალიას ავტოგრაფი, ხელს აწერს ნინო სალია, 1 ფ.

პირი: თებროლე ინაშვილი, პეტრე შკვარკინი, მიხეილ წერეთელი.

ტოპონიმი: ვარდისუბანი, თბილისი, პოლონეთი, საფრანგეთი.

51. ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წერილი ნინო სალიას. მადლობას უხდის ბიბლიოთეკის გადაცემისთვის.

უთარილო.

პერგამენტზე დაწერილი დედნის ქსეროასლი, 1 ფ.

52. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წერილი ნინო სალიას. მადლობას უხდის ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის საჩუქრად გადაცემული წიგნების გამო.

უთარილო, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, შავი, 1 ფ. (3 ცალად).

პირი: ევგნი ხარაძე. ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშია.

**ნინო და კალისტრატე სალიების საზოგადოებრივი
მოღვაწეობის ამსახველი მასალა**

53. სამეცნიერო საბჭოს სახელით რენე ლაფონის, ჰანს ფოგტისა და უორუ დიუმეზილის წერილი ჟურნალი „ბედი ქართლისას“ დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით.

[1972 წ.]

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

პირი: ნინო სალია, კალისტრატე სალია.

54. გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 1973 წლის 26 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია „ქართველოლოგიური ჟურნალის მორიგი ნომერი“.

1973 წ. 26 ოქტომბერი.

ქსეროასლი, 1 ფ.

55. აკაკი რამიშვილისა და დევიდ ლანგის სტატია „ბედი ქართლისას“ საქმიანობის შესახებ.

1973 წ. 29 ნოემბერი, ლონდონი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, 2 ფ.

56. ლევილის მერის მიერ გაცემული ნებართვა მიხეილ წერეთლის ნემტის ლევილის სასაფლაოზე დაკრძალვის შესახებ.

1976 წ. 1 სექტემბერი, ლევილი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

57. ილია ტაბაღუას რეცენზია „ქართველოლოგიური ჟურნალის მორიგი ნომერი“. ეხება „ბედი ქართლისას“ 38-ე ნომერს.

[1980 წ.]

ამონაჭერი გაზეთიდან „ლიტერატურული საქართველო“, 1 ფ.

58. CNRS-ის (საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრი) სახელით ანრი პერონინის მიმართვა საფრანგეთის საბაჟოს. სთხოვს, გაატარონ „ბედი ქართლისას“ 300 ეგზემპლარი.

1981 წ. 26 აპრილი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

პირი: კ. სალია.

ტოპონიმი: ლუვენი, ბელგია.

59. „ბედი ქართლისას“ სარედაქციო კოლეგიის წევრთა სია.

1981 წ. 22 ივნისი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

პირი: იულიუს ასფალგი, ჟორჟ დიუმეზილი, ივეტ გრიმო, დევიდ ლანგი, ბერნარ უტიე, კატერინა პარისი, გერტრუდა პეტჩი, კარლ-ჰორს შმიდტი, მიშელ ვან ესბროკი, ჰანს ფოგტი, ალექსანდრე ბარამიძე, ვახტანგ ბერიძე, ელენე მეტრეველი.

60. ნინო და კალისტრატე სალიებისადმი მიძღვნილი გიორგი ყიფიანის ლექსი „ორი სანთელი“.

1981 წ.

მანქანაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

61. საფრანგეთის სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის, ანრი პერონინის, წერილი საფრანგეთის საბაჟოს. სთხოვს, დაბრკოლების გარეშე გაატარონ „ბედი ქართლისას“ 300 ეგზემპლარი, რომლებიც ლუვენში დაიბეჭდა.

1982 წ. 14 მარტი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

62. კალისტრატე სალიას დეკლარაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს „ბედი ქართლისას“ მე-40 ტომთან დაკავშირებით.

1982 წ. 4 მაისი, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

63. საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის, გ. ლილამანდის, მიმართვა საფრანგეთის საბაჟოს. სთხოვს „ბედი ქართლისას“ 180 ეგზემპლარის გატარებას.

1983 წ. 17 მაისი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

64. ელენე მეტრეველის ახსნა-განმარტებითი წერილი ნინო და კალისტრატე სალიების ფონდისათვის წიგნების გამოწერის, მათი არქივისა და ჟურნალ „ბედი ქართლისას“ შესახებ.

[1984 წ.]

მანქანაზე ნაბეჭდი, ნასწორები, შავი, 5 ფ.

პირი: ბერნარ უტიე, პ. პეტერსი, აკად. დიუმეზილი, გ. შარაშიძე, დ. ელიგულაშვილი, ჟ. პ. მაე.

ტოპონიმი: პარიზი, ლუვენი.

65. გ. ჯავახიშვილის წერილი საქართველოს მეცნიერთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, ზ. ჩხეიძეს, ნინო და კალისტრატე სალიების ფონდის წესდების შედგენის შესახებ.

1988 წ. 4 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ხელმოწერილი, 2 ფ.

პირი: ა. თავხელიძე, ა. ასათიანი, ნ. სალია.

66. ფრაგმენტი „ბედი ქართლისას“ 25 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილიდან. აღნიშნულია ჟურნალის დანიშნულება და დამსახურება.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, შავი, ქსეროასლი მინაწერებით, ბოლონაკლული, 1 ფ.

ტოპონიმი: თბილისი.

67. ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშიას სტატია კალისტრატე და ნინო სალიების შესახებ.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, თავნაკლული, 6 ფ.

68. „ბედი ქართლისას“ სარჩევები. ამონაჭრები ჟურნალის სხვადასხვა ტომიდან. აქვს კალისტრატე სალიას მინაწერები: „ჩვენი მთავარი შრომები“.

უთარილო, 17 ფ.

სარჩევში წითელი მელნით საზღვასმულია ნინო და კალისტრატე სალიების სტატიები.

ნინო და კალისტრატე სალიების ფოტოები

69. კალისტრატე სალია უცნობ პირებთან ერთად.

1965 წ. დუინო (იტალია), 1 ფოტო.

70. კალისტრატე და ნინო სალიები უცნობ პირთან ერთად.

1975 წ. 1 ფოტო.

71. კალისტრატე სალია.

1982 წ. 22 დეკემბერი, პარიზი, 2 სხვადასხვა ფოტო.

72. კალისტრატე და ნინო სალიები.

უთარილო, 4 ფოტო.

73. კალისტრატე და ნინო სალიები უცნობ პირებთან ერთად.

უთარილო, 3 ფოტო.

74. ნინო და კალისტრატე სალიები.

უთარილო, 4 ფოტო.

75. ნინო და კალისტრატე სალიები.

უთარილო, 5 ფოტო.

76. ნინო და კალისტრატე სალიები.

უთარილო, 5 სხვადასხვა ფოტო.

77. ნინო და კალისტრატე სალიები უცნობ პირებთან ერთად.

უთარილო, 2 ფოტო.

78. ნინო და კალისტრატე სალიები ალექსანდრე ნიკურაძესთან ერთად.

უთარილო, 2 ფოტო.

79. კათალიკოს-პატრიარქი ეფრემი, ნინო და კალისტრატე სალიები.
უთარილო, 3 სხვადასხვა ფოტო.

80. ნინო და კალისტრატე სალიები უცნობ პირთან ერთად.
უთარილო, 1 ფოტო.

81. ნინო და კალისტრატე სალიები.
უთარილო, 1 ფოტო.

82. კალისტრატე სალია და შალვა ამირანაშვილი.
უთარილო, 1 ფოტო.

83. ნინო სალია.
უთარილო, 12 სხვადასხვა ფოტო.

84. კალისტრატე სალია, ალექსანდრე ნიკურაძე და მიხეილ მუსხელიშვილი.
უთარილო, 1 ფოტო.

85. კალისტრატე სალია, ალექსანდრე ნიკურაძე და უცნობი პირი.
უთარილო, 1 ფოტო.

86. ალექსანდრე ნიკურაძე, დავით (დათა) ვაჩნაძე და კალისტრატე სალია.
უთარილო, 1 ფოტო.

87. კალისტრატე სალია.
უთარილო, 1 ფოტო.

88. კალისტრატე სალია.
უთარილო, 5 სხვადასხვა ფოტო.

89. კალისტრატე სალია.
უთარილო, 3 ფოტო.

90. ნინო სალია, ალექსანდრე ნიკურაძე და მიხეილ მუსხელიშვილი.
უთარილო, იტალია, 1 ფოტო.
91. ნინო სალია უცნობ პირებთან ერთად.
გადაღებულია მარბურგში აიფერტის მიერ, 1 ფოტო.
92. კალისტრატე სალიას სავიზიტო ბარათი.
უთარილო, ფრანგულ ენაზე, 2 ფ.
93. ალექსანდრე ნიკურაძე, ნინო სალია და დავით (დათა) ვაჩნაძე.
უთარილო, 1 ფოტო.
94. ნინო სალია და ალექსანდრე ნიკურაძე.
უთარილო, 1 ფოტო.
95. ნინო სალია, ალექსანდრე ნიკურაძე და მიხეილ მუსხელიშვილი.
უთარილო, 3 სხვადასხვა ფოტო.
96. ნინო სალია უცნობ პირებთან ერთად.
უთარილო, 1 ფოტო.
97. ნინო სალია და პრინცი დე ლა ტური.
უთარილო, იტალია, დუინო, 1 ფოტო.
98. ნინო სალია.
უთარილო, 3 ფოტო.
99. ნინო სალიას სადარბაზო ბარათი.
უთარილო, 1 ც.

II. კალისტრატე სალიას შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

100. კალისტრატე სალიას კრიტიკული წერილი მ. გემიჯიანის სტატიის – „დავუბრუნოთ ბაგრატიონები სასომხეთს“ – შესახებ.

1976 წ. 12 მარტი.

ამონაჭერი გაზეთიდან “Le monde”, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

101. რვეული: ნიკოლოზ მიწიშვილის, ტიციან ტაბიძის, გრიგოლ რობაქიძის, იოსებ გრიშაშვილის ლექსები, გრიგოლ რობაქიძის ესე „ექსპრესიონიზმი“ და ნაწყვეტები „გველის პერანგიდან“. თავფურცელზე აწერია: „კ. სალია“.

უთარილო.

კალისტრატე სალიას ავტოგრაფი, 18 ფ.

102. კალისტრატე სალიას ნაშრომი „ქართულ ვერსიებში დაცული ბიზანტიური ლიტერატურის დაკარგული ძეგლები“.

უთარილო.

სტამბურად ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ამონაჭერი წიგნიდან, ბოლო-ნაკლული, 2 ფ.

III. მიმოწერა

კალისტრატე სალიას წერილები სხვადასხვა პირს

ბერეჟიანები თამარ და შოთა

103. აცნობებს მიხეილ წერეთლისა და გრიგოლ რობაქიძის ლევილში გადასვენების დეტალებს. სწერს ოთარ ზურაბიშვილსა და მის გუნდთან უთანხმოებისა, ასევე – ქართულ ემიგრაციაში განხეთქილების შესახებ.

1976 წ. 7 დეკემბერი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: ო. ზურაბიშვილი, პატარიძე, ბეგიაშვილი, და-ძმა ბერეკაშვილები, მიშა სტურუა, ლევან ფალავა, ვახტანგ ბერიძე, პროფესორი ალპაგო-ნოველო, პაოლო ვერძონე, ნინა ყაუხჩიშვილი, გ. ჩუბინიძე, ერ. მაჭავარიანი.

ტოპონიმი: მიუნხენი, ჟენევა, ლევილი, ბერგამო, მილანი, ტიურენი, თბილისი, პარიზი.

გამსახურდია კონსტანტინე

104. აცნობებს, რომ მიიღო მისი წერილი მიხეილ წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით და მადლობას უხდის თბილი სიტყვებისათვის. აცნობებს, რომ მას გრიგოლ რობაქიძეც დიდ პატივს სცემდა.

1965 წ. 8, აპრილი, პარიზი-თბილისი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: მიხეილ თარხნიშვილი.

ვეკუა ილია

105. აცნობებს, რომ მალე გამოვა მიხეილ წერეთლის მიერ აღდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. სწერს, რომ გამოსაცემად

ამზადებს „საქართველოს ისტორიას“.

1977 წ. 27 ივნისი, პარიზი.

ავტოგრაფია, 1 ფ.

პირი: ელენე მეტრეველი, ილია და შალვა თაყაიშვილები, ნინო სალია, თამაზ ნასყიდაშვილი, ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშია.

თურნავა სერგო

106. სწერს პარუირ მურადიანის მცხეთის ჯვრის შესახებ დაბეჭდილი სტატიისა და კალისტრატე სალიას მიერ გამოქვეყნებული საპასუხო წერილის თაობაზე.

1969 წ. 1 ოქტომბერი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: იაკობსონი, გიორგი ჩუბინაშვილი, ბ. ბიოილი, ნ. სალია.

107. მადლობას უხდის გაგზავნილი წერილებისათვის. სთხოვს მიაწოდოს მისი ნაშრომი რენე ლაფონზე და შოთა ბადრიძის წიგნი. აცნობებს, რომ გამოსაქვეყნებლად მოამზადა წერილი ქართული ლიტერატურის შესახებ.

1969 წ. 23 ნოემბერი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: პარუირ მურადიანი, ბერბერიანი, მარიამ ლორთქიფანიძე.

108. მადლობას უხდის «Запа Востока»-ს გაგზავნისათვის. აღნიშნავს, რომ შოთა ბადრიძისა და სხვა ახალგაზრდა მეცნიერების თანამშრომლობა ჟურნალთან სასიამოვნო იქნება. სწერს, რომ მოეწონა ელენე მეტრეველის ნაშრომი და კარგი იქნება, თუ გაუგზავნის ჟურნალისათვის.

1970 წ. 9 იანვარი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: შოთა ბადრიძე, ბერბერიანი, პარუირ მურადიანი, ელენე მეტრეველი.

ტოპონიმი: პარიზი.

109. კერძო ხასიათის.

1970 წ. 7 თებერვალი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: შოთა ბადრიძე, გრეტა ჩანტლაძე, რენე ლაფონი, რ. მარგიანი.

ტოპონიმი: პარიზი.

110. აცნობებს, რომ პანს ფოგტთან ერთად იმუშავა ქართული ენის გრამატიკაზე, რომელიც წლის ბოლოს გამოიცემა. სწერს, რომ უცხოელ ქართველოლოგებს უნდა გაუფრთხილდნენ. მაღალ შეფასებას აძლევს ს. თურნავას წიგნს რენე ლაფონის შესახებ. ურჩევს ჟერარ გარიტზე ნაშრომი არ დაავგიანოს.

1970 წ. 30 მარტი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: კიტა ჩხენკელი, ალექსანდრე ალექსიძე, შოთა ბადრიძე, დავით ფანჩვიძე, გასტონ ბუაჩიძე, რ. ჯაფარიძე.

ტოპონიმი: პარიზი, თბილისი, ლუვენი, წალენჯიხა.

111. ატყობინებს, რომ ლიტერატურა უკვე მიიღო, ჟურნალის მორიგი ნომერი მაისში გამოვა და სთხოვს, იქ მოცემულის ანალოგიურად შეადგინონ ბიბლიოგრაფია შემდეგი ნომრისათვის. სწერს, რომ დაუკავშირდნენ ნათელა თენიეშვილს, რომელსაც აქვს მიხეილ წერეთლისეული „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი გერმანულ ენაზე და იზრუნონ მის გამოცემაზე.

1970 წ. 17 მაისი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: რ. ჯაფარიძე, გერტრუდა პეჩი, ნინო სალია, გიორგი ჯიბლაძე, ს. ხადური.

ტოპონიმი: მაიკოპი, მახაჩკალა, ორჯონიკიძე, თბილისი.

112. აცნობებს, რომ ლიტერატურა უკვე მიიღო. სწერს, რომ პარუირ მურადიანი კვლავაც პასუხობს განსვენებულ ილია აბულაძეს "Revue des Études arméniennes"-ში. მაღლობას უთვლის ქართული ჟურნალის რედაქტორებს.

1970 წ. 3 ივნისი, ევიანი-თბილისი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: გიორგი ჩუბინაშვილი.

ტოპონიმი: ლევილი, პარიზი.

113. აცნობებს, რომ ლიტერატურა უკვე მიიღო და ჟურნალი გამოუგზავნა. უზიარებს აზრს პარიზში გამართულ სსრკ-ის ინდუსტრიული და კომერციული გამოფენის შესახებ, სადაც საქართველოს პავილიონი განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა.

1970 წ. 8 ივლისი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, ბოლონაკლული, 1 ფ.

პირი: ნოდარ ღოღობერიძე, ლელი რცხილაძე, რ. კვარცხავა.

114. მადლობას უხდის წიგნებისა და ფოტოებისათვის. მაღალ შეფასებას აძლევს შოთა მესხიას. კმაყოფილია, რომ მიხეილ წერეთლის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი ალ. ბარამიძეს გადასცეს.

1970 წ. 7 ივლისი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: გერტრუდა პეჩი, გიორგი ჯიბლაძე.

115. მიუთითებს ჟურნალის ნომრებს, რომლებშიც ბიბლიოგრაფიკაა დაბეჭდილი. აცნობებს, რომ "Encyclopedia universalis"-ში ბეჭდავს სტატიას საქართველოზე.

1970 წ. 16 აგვისტო, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: რენე ლაფონი, გურამ თოფურიკი, ალექსანდრე მაჰომეტოვი, ვახტანგ ბერიძე, ვლადიმერ ფანჩიძე.

116. აღწვთებულია სომეხ მეცნიერთა მოსაზრებებით.

1970 წ. 26 აგვისტო, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: პარუირ მურადიანი, ილია აბულაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, შოთა მესხია, შალვა ამირანაშვილი, ბერბერიანი, დიუმეზილი,

გრაბე, ა. კაენი, პევსენი.

ტოპონიმი: კონსტანტინოპოლი.

117. აცნობებს, რომ მიიღო მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის მიერ გაგზავნილი 15 წიგნი და ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია. იმედოვნებს, რომ შალვა ამირანაშვილი და ვახტანგ ბერიძე პასუხს გასცემენ "Revue des Études arméniennes"-ში გამოქვეყნებულ წერილს. სთხოვს შოთა მესხიამ გაუგზავნოს სტატია, აგრეთვე – ვლ. მაჭავარიანის წიგნი, რომელშიც ვიქტორ ნოზაძეა გაკრიტიკებული.

1970 წ. 26 სექტემბერი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: ალექსანდრე მაჰომეტოვი, ვ. ფანჩვიძე, ნიკო მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ნინო სალია, გიორგი ჯიბლაძე, სოსო [მეგრელიძე], დავით ფანჩულიძე, გ. ბუაჩიძე, ნ. თენიშვილი.

ტოპონიმი: ნიცა.

118. წუხს, რომ ვერ შეხვდა შოთა მესხიას სტუდენტებს. აინტერესებს, ვლადიმერ ფანჩვიძე და ალექსანდრე მაჰომეტოვი გაუგზავნიან თუ არა სტატიებს ჟურნალისათვის. ელოდება შოთა მესხიასა და ნოდარ კაკაბაძის წერილებს. აცნობებს, რომ იყო ქართულ კონცერტზე.

1970 წ. 9 ნოემბერი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: ნინო სალია, ვლადიმერ მაჭავარიანი.

ტოპონიმი: მახაჩკალა.

119. აცნობებს, რომ მიიღო ლიტერატურა. ძალიან დაინტერესდა დავით თევზაძის წიგნით. სთხოვს გ. ჟორჟოლიანს რუკას. აწვდის ინფორმაციას კ. თუმანოვის შესახებ.

1970 წ. 28 დეკემბერი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: ი. აბაშიძე, ირაკლი ოჩიაური, ვახტანგ ბერიძე, სოსო [მეგრელიძე], შოთა მესხია.

120. აცნობებს, რომ მიიღო წერილი ფრანგული ენისა და ლიტერატურის სწავლებაზე საქართველოში. სწერს, რომ საჭირო არაა მისი 70 წლის იუბილეს აღნიშვნა. სწერს, რომ აქვეყნებს ტატიანა ავალიანის, რ. ლაფონისა და ელენე წერეთლის მიერ ფრანგულად თარგმნილი ქართული პოეზიის ნიმუშებს.

1971 წ. 2 მარტი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, ბოლო ნაწილი ცუდად იკითხება, ბოლონაკლული, 1 ფ.

პირი: ირაკლი აბაშიძე.

121. კერძო ხასიათის.

1971 წ. 24 მარტი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, ბოლონაკლული, 1 ფ.

პირი: ნინო ხალია, ვლადიმერ ფანჩიძე, რენე ლაფონი, არნოლდ ჩიქობავა, სერგი ჯიქია, შოთა ძიძიგური, ელენე წერეთელი, ირაკლი [აბაშიძე], ტატიანა ავალიანი.

122. აცნობებს, რომ საჭირო მასალამ სერგო თურნავასთან დაკავშირებული წერილისთვის დროულად მიიღო. ესაუბრება ტ. ავალიანის, რ. ლაფონისა და წერეთლის მიერ შედგენილი ქართული ლექსიკონის თარგმნაზე. ატყობინებს, რომ აპირებდა ბუქარესტში კონგრესზე წასვლას, მაგრამ ვერ შეძლევს.

1971 წ. 30 მარტი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, ბოლონაკლული, ნაწილი ცუდად იკითხება, 1 ფ.

პირი: შ. ძიძიგური, ა. ჩიქობავა, ს. ჯიქია, ელენე წერეთელი.

ტოპონიმი: ბუქარესტი, თბილისი.

123. აცნობებს, რომ ვლადიმერ ფანჩიძისთვის შეუკვეთა სოსიურის წიგნი. სწერს, რომ შემდეგ ნომერში გამოაქვეყნებს შოთა ბადრიძის წერილს. მიიჩნევს, რომ საქართველოდან ვინმემ პასუხი უნდა გასცეს კ. თუმანოვს.

1971 წ. 27 აპრილი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: შ. მესხია, ვ. ფანჩიძე, შ. ბადრიძე, გ. ბუაჩიძე, ს. წულაძე,

მამულია, თუმანოვი.

124. მადლობას უხდის გაგზავნილი ჟურნალ-გაზეთებისათვის. სთხოვს, გივი კილურაძემ მიაწოდოს წერილი „ნაპოლეონი და საქართველო“ ფრანგულ ენაზე. სწერს, რომ გაიცნო ილია ტაბაღუა.

1971 წ. 6 ივნისი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: წულაძე, გასტონ ბუაჩიძე, ნინო სალია, ვლადიმერ ფანჩვიძე, რენე ლაფონი, ა. გაწერელია.

125. სწერს, რომ ესტუმრა რ. ტრიუმფი, რომელმაც აცნობა, რომ ალექსანდრე ალექსიძე სტრასბურგიდან თბილისში ბრუნდება და მისი შემცვლელი არა ჰყავთ. ატყობინებს, რომ მიიღო გაზეთი „სამშობლო“, რომელშიც გამოქვეყნებულია „ბედი ქართლისას“ სამეცნიერო საბჭოს წერილი.

1971 წ. 22 ივნისი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: ნ. სალია, სოსო მეგრელიძე, შოთა მესხია.

126. აცნობებს, რომ რ. ტრიუმფმა გადასცა სურათები. წუხს ოქსფორდში ქართული ენის კურსების დახურვის საფრთხეზე. სწერს, რომ ალექსანდრე ალექსიძე თბილისში ბრუნდება. აღნიშნავს, რომ ირაკლი აბაშიძის ლექსი „გოლგოთასთან“ ფრანგებს ძალიან მოეწონათ. სთხოვს გაარკვიოს, ზ. ურუშაძე ვ. ურუშაძის შვილი ხომ არ არის.

1971 წ. 28 ივნისი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, ნაწილი ცუდად იკითხება, 1 ფ.

პირი: სიმონ ყაუხჩიშვილი.

ტოპონიმი: თბილისი, მოსკოვი.

127. აცნობებს, რომ მიიღო პეტრე ბაგრატიონის გენეალოგია. დამატებით სთხოვს მასალას ბაგრატიონების შესახებ.

1971 წ. 19 ივლისი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: შოთა მესხია.

128. აცნობებს, რომ მიიღო ლიტერატურა. სთხოვს დ. ჯანელიძემ წერილი მიაწოდოს ფრანგულად. სწერს, რომ რენე ლაფონსა და ჰანს ფოგტს სურთ, სტატიის თარგმანი გამოქვეყნდეს საქართველოში.

1971 წ. 4 აგვისტო, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: ნინო სალია.

129. აცნობებს, რომ მიიღო გაგზავნილი წიგნები და გაზეთები. მადლობას უთვლის რევაზ მარგიანს, ა. მირცხულავასა და შოთა ძიძიგურს ყურადღებისათვის, ხოლო წიგნებისათვის ისიდორე გვარჯალაძეს. სწერს, რომ მის ლექსიკონზე საფრანგეთში დიდი მოთხოვნაა. ვ. შენგელიას სთხოვს, ჟურნალში გამოსაქვეყნებლად მიაწოდოს ინფორმაცია ნალჩიკში ჩატარებული საენათმეცნიერო სესიის შესახებ.

1971 წ. 17 აგვისტო, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: ი. აბაშიძე.

ტოპონიმი: ნალჩიკი, თბილისი.

130. აინტერესებს, ვლადიმერ ფანჩიძემ და ალ. მაჰომეტოვმა თუ მიიღეს ჟურნალი. სწერს, რომ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ „ბედი ქართლისას“ სამეცნიერო საბჭოს წერილის თარგმანში შეცდომა გაიპარა.

1971 წ. 20 აგვისტო, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: ჰანს ფოგტი, ნინო სალია, ირაკლი აბაშიძე.

131. აცნობებს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკამ გაუგზავნა წიგნები და მადლობას უხდის ბიბლიოთეკის დირექტორს. სწერს, რომ მიიღო წიგნები გრეტა ჩანტლაძისაგან. უგზავნის რენე ლაფონის წერილს, სთხოვს აჩვენოს აკაკი შანიძესა და არნოლდ ჩიქობავას.

1971 წ. 21 აგვისტო, პარიზი-თბილისი.
ქსეროასლი, 1 ფ.

132. აღნიშნავს, რომ არაფერი აქვს საწინააღმდეგო ჟურნალის განხილვასთან დაკავშირებით. უკმაყოფილოა მისი იუბილეს შესახებ გამოქვეყნებული ცნობებით.

1971 წ. 5 სექტემბერი, პარიზი-თბილისი.
ქსეროასლი, ცუდად იკითხება, 1 ფ.
პირი: სოსო მეგრელიძე, ილია ტაბაღუა, ოთარ თენგიშვილი.

133. მადლობას უხდის წიგნებისა და ჟურნალებისთვის. მოხარულია, რომ რენე ლაფონის სტატია გამოქვეყნდა საქართველოში. სწერს, რომ სოსო [მეგრელიძის] წერილის იმ ნაწილმა, რომელშიც ლაპარაკია კალისტრატეს პოლიტიკურ წარსულზე, საფრანგეთში მითქმა-მოთქმა გამოიწვია და შეეცადნენ ჟურნალისთვისაც ევნოთ. მიუთითებს სოსოს წერილში გაპარულ შეცდომებზე. უხსნის, რომ მიხეილ ჩიქოვანს ძლივს ჩაუსწრო პარიზში, რადგან ნინო ავადმყოფობს და შვეიცარიაში უწევს ყოფნა. სთხოვს, ოთარ ლორთქიფანიძემ გაუგზავნოს სტატია.

1971 წ. 1 ოქტომბერი, ლიონი-თბილისი.
ქსეროასლი, ბოლონაკლული, 1 ფ.
ტოპონიმი: თბილისი, პარიზი.

134. აცნობებს, რომ გაზეთიდან შეიტყო ნიკო მუსხელიშვილის იუბილეს შესახებ და დეპეშა გაუგზავნა. გაოცებულია გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნებული სოსო მეგრელიძის წერილით. სწერს ევროპაში ქართველოლოგიის მდგომარეობის შესახებ.

1971 წ. 13 ოქტომბერი, პარიზი-თბილისი.
ქსეროასლი, 2 ფ.
პირი: რენე ლაფონი, პაატა გუგუშვილი, ალენი, ალექსანდრე მაჰომეტოვი.

135. ატყობინებს, რომ ჰანს ფოგტის გრამატიკა საფრანგეთში ძალიან მოიწონეს. აცნობებს, რომ რენე ლაფონი აპირებს რეცენზიის

დაწერას. აინტერესებს სოსო მეგრელიძის რეცენზია. სწერს იოსებ მეგრელიძისგან მიღებული კრიტიკული წერილის თაობაზე.

1971 წ. 2 ნოემბერი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: მიხეილ ჩიქოვანი.

ტოპონიმი: თბილისი.

136. აცნობებს, რომ მიიღო მისი და მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაგზავნილი წიგნები. ასევე აინტერესებს, მიაწოდეს თუ არა რენე ლაფონის წერილი. აღნიშნავს, რომ ი. მეგრელიძემ რაც არ უნდა დაწეროს, რენე ლაფონი პასუხის გაცემას არ აპირებს. უზიარებს თავის აზრს გრიგოლ ფერაძის სტატიის დაბეჭდვის შესახებ.

1971 წ. 17 ნოემბერი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: ნინო სალია, რ. მარგიანი, მიხეილ წერეთელი, მის. თარხნიშვილი, შერმერიანი.

ტოპონიმი: თბილისი.

137. კერძო ხასიათის.

1971 წ. 21 ნოემბერი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: რენე ლაფონი.

ტოპონიმი: თბილისი.

138. მადლობას უხდის გაგზავნილი ლიტერატურისათვის. აცნობებს, რომ მალე მიაწოდებს თავის წერილს "Encyclopedia Universalis"-დან ქართულ ლიტერატურაზე. აღნიშნავს, რომ ისტორია და ხელოვნება დევიდ ლანგმა დაწერა. მიუთითებს, რა შესწორებები შეიტანა დ. ლანგის წერილში.

1971 წ. 26 ნოემბერი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, ბოლონაკლული, 1 ფ.

139. სწერს რენე ლაფონისა და ი. მეგრელიძის პუბლიკაციაზე. აწვდის ცნობებს გ. შარაშიძის შესახებ და ჰპირდება მისი წიგნის

გაგზავნას.

1971 წ. 7 დეკემბერი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 2 ფ.

პირი: დ. ლანგი, ს. ყაუხჩიშვილი, ზ. გელეყვა, ნ. გაბაშვილი, ზ. კაპანაძე, გ. ბერიძე, ო. ლორთქიფანიძე.

140. მადლობას უხდის გაგზავნილი ლიტერატურისა და პრესისთვის, აგრეთვე – ალ. ბარამიძესა და სხვა ავტორებს ჟურნალ „მაცნეში“ მის შესახებ წერილების გამოქვეყნებისათვის. სწერს გ. შარაშიძის წიგნსა და ჟურნალის მორიგ ნომერზე.

1972 წ. 31 იანვარი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: შ. ძიძიგური, ნინო სალია, ლაიოშ ტარდი, დევიდ ლანგი, ოთარ ლორთქიფანიძე, ვახტანგ ბერიძე, ილია ტაბაღუა, გრ. ჩხიკვაძე, ა. კილურაძე.

ტოპონიმი: ვენა, ბუდაპეშტი, თბილისი.

141. კერძო ხასიათის.

1972 წ. 14 მაისი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, ბოლონაკლული, 1 ფ.

142. კერძო ხასიათის.

1974 წ. 24 ივლისი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: ნინო სალია, ი. მეგრელიძე.

143. სწერს, რომ ფოსტის გაფიცვის გამო წერილს ბელგიიდან აგზავნის. მადლობას უთვლის ჯანსუღ ჩარკვიანს. ჰპირდება, რომ, ვისაც არ მიუღია ჟურნალი „ბედი ქართლისა“, ხელმეორედ გამოგზავნის, როცა გაფიცვა დასრულდება.

1974 წ. 27 ოქტომბერი, ბრიუსელი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ. 1 კონვერტის ქსეროასლი.

პირი: სოსო მეგრელიძე, ალ. ბარამიძე, ის. გვარჯალაძე.

ტოპონიმი: პრაღა.

144. მადლობას უხდის წერილისა და წიგნების გაგზავნისათვის. სთხოვს ლიტერატურის მიწოდებას.

1977 წ. 19 ნოემბერი, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: დავით ფანჩულიძე, შოთა რევიშვილი, ალ. ბარამიძე, სოსო [მეგრელიძე], ნინო სალია.

145. სწერს „ბედი ქართლისას“ მნიშვნელობაზე ქართველოლოგიისათვის და მის პოპულარობაზე უცხოეთში. აცნობებს, რომ ჰანს ფოგტი აპირებს სალიებთან ჩასვლას, დახმარება სჭირდება თავისი გრამატიკის ხელახლა გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. წუხს, რომ ევროპელი ქართველოლოგები გამოცემის საქმეში არ ეხმარებიან. კარგი იქნება, თბილისმა იზრუნოს შემცვლელზე, რადგან კალისტრატე სალიას გარდაცვალების შემდეგ საზღვარგარეთ ქართველოლოგია აღარ იარსებებს. აცნობებს, რომ საქართველოდან დიდ დახმარებას უწევს სოსო [მეგრელიძე] და სერგო თურნავა.

უთარილო, პარიზი-თბილისი.

ქსეროასლი, თავნაკლული, 1 ფ.

ტოპონიმი: თბილისი.

146. კერძო ხასიათის.

უთარილო, პარიზი-თბილისი,

ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: სოსო მეგრელიძე, ი. იედლიჩკა, ჰანს ფოგტი.

ტოპონიმი: პრაღა.

147. სწერს, რომ სორბონაში საენათმეცნიერო საზოგადოების საჯარო კრებაზე გადაწყვიტეს, „ბედი ქართლისას“ მომავალი ნომერი მიეძღვნათ კალისტრატე სალიას 70 წლის იუბილესთვის, რის შესახებაც მან უარი განაცხადა. სანაცვლოდ დაიბეჭდება მოკლე მიძღვნა, რომელსაც ყველა მოაწერს ხელს. სთხოვს მიაწოდოს წერილი ფრანგული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ საქართველოში.

უთარილო, პარიზი-თბილისი, ქსეროასლი, თავნაკლული, 1 ფ.

148. აცნობებს ჰანს ფოგტის „ქართული ენის გრამატიკის“ გამოსვლას. სთხოვს საქართველოს გეოგრაფიას რუსულ ენაზე და სხვა ლიტერატურას.

უთარილო, ქსეროასლი, თავნაკლული, 1 ფ.

პირი: ალ. ბარამიძე, ალ. მაჰომეტოვი, ი. აბულაძე, რენე ლაფონი, ნინო სალია, ირაკლი [აბაშიძე], ვლ. მაჭავარიანი.

ტოპონიმი: პარიზი.

149. სერგო თურნავასადმი გაგზავნილი წერილების ფრაგმენტები.

უთარილო,

ქსეროასლი, თავნაკლული, ცუდად იკითხება, 5 ფ.

მეგრელიძე იოსებ

150. აცნობებს ლიტერატურის მიღებას. უგზავნის ამონარიდს მიხეილ წერეთლის წიგნაკიდან იმის შესახებ, რომ მ. წერეთელი არასოდეს ყოფილა პიტლერის მომხრე და იმ პერიოდში „თეთრი გიორგის“ ორგანიზაცია აკრძალული იყო გერმანიაში.

1965 წ. 7 მაისი, პარიზი-თბილისი.

ავტოგრაფი, ერთი წერილის ორი ვარიანტი, შავი, 2 ფ.

პირი: ი. იედლიჩკა, ზ. ავალიშვილი.

ტოპონიმი: ბერლინი, რაინლანდი.

მისტლერი ჟან

151. მადლობას უხდის საფრანგეთის აკადემიას მისი წიგნის – „ქართველი ერის ისტორია“ – დაჯილდოებისათვის.

1980 წ. 29 მაისი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ბოლონაკლული, 1 ფ.

მუსხელიშვილი ნიკო

152. სწერს, რომ ქართული პრესა შეურაცხყოფას აყენებს მიხეილ

წერეთლის სსოვნას, რაც გაუმართლებელია. სთხოვს გამოეხმაუროს.

1965 წ.

ავტოგრაფი, შავი, ნაკლული, 5 ფ.

კალისტრატე სალიასა და ბერნარ უტიეს წერილი ბერნარ ბრიგულეს

153. აცნობებენ, რომ ინტერესით წაიკითხეს გაზეთ „მონდში“ გამოქვეყნებული მისი წერილი საქართველოს შესახებ და მადლობას უხდიან. სწერენ, რომ უგზავნიან „ბედი ქართლისას“ XXXIII ტომიდან ამობეჭდილ მასალას საქართველოზე.

1979 წ. 22 თებერვალი, პარიზი-თბილისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

კალისტრატე სალიასა და ბერნარ უტიეს წერილი პ. პუპარს

154. მადლობას უხდიან შარლ მერსიესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მიწვევისათვის. სწერენ, რომ ვერ დაესწრებიან.

უთარილო, პარიზი.

ქსეროასლი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 3 ფ.

პირი: მორის ბრიერი, ფ. გრაფენი.

ევგენი ხარაძე

155. მადლობას უხდის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევისათვის.

უთარილო, პარიზი-თბილისი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, შავი, 1 ფ.

პეტროვინია

156. სწერს, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებით მათი შეხედულებები რადიკალურად განსხვავდება.

1983 წ. 24 ოქტომბერი, პარიზი.

ქსეროასლი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

უცნობი პირი

157. სწერს, რომ „ქართველი ერის ისტორიის“ ხელნაწერი ჯერ გააცნო ქართველ მეცნიერებს. მათი დადებითი დასკვნისა და შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ დაბეჭდა.

უთარიდო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, თავბოლონაკლული, 1 ფ.

პირი: ელენე მეტრეველი, ვახტანგ ბერიძე, ილია ტაბალუა, გიორგი მელიქიშვილი, ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშია, ალექსანდრე ბარამიძე.

ტოპონიმი: თბილისი.

ნინო სალიას წერილები სხვადასხვა პირს

აბაშიძე ვახტანგ

158. სწერს უცხოელთა შთაბეჭდილების შესახებ რუსთაველის იუბილეს შესახებ.

უთარილო, პარიზი-თბილისი.

ავტოგრაფი, კალკაზე, 2 ფ.

პირი: ზურიკო [აბაშიძე], კალისტრატე სალია, ირაკლი აბაშიძე.

ტოპონიმი: პარიზი.

აბაშიძე ირაკლი

159. სწერს „ბედი ქართლისას“ მიზნებზე და სთხოვს შუამდგომლობას შესაბამის უწყებებთან, რათა ჟურნალი დაუშვან საქართველოს ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო ინსტიტუტებში. აცნობებს, რომ ჟურნალი აპოლიტიკურია. ატყობინებს, რომ გამოაგზავნის გაცვლის წესით ყველა ნომრის 50 ცალს.

1965 წ. 17 მარტი, პარიზი-თბილისი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

ტოპონიმი: მოსკოვი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, აღმოსავლეთი გერმანია.

160. სწერს პარიზში გამოქვეყნებული რუსთაველის იუბილესა და ქართული ბალეტის გასტროლების შესახებ.

1966 წ. 11 დეკემბერი, პარიზი-თბილისი.

ავტოგრაფი, 2 ფ.

პირი: აკაკი დვალიშვილი, ლილიანა მითაიშვილი, ზურაბ კიკალეიშვილი, ვ. გონაშვილი, ნ. აბდალაძე.

ტოპონიმი: პარიზი, თბილისი.

161. სწერს „ბედი ქართლისაში“ დასაბეჭდი წერილის შესახებ, ვიქტორ ნოზაძის ინტერვიუზე ამერიკულ რადიოსთან და ნოზაძისა და მიხეილ წერეთლის ურთიერთობებზე.

1967 წ. 17 მარტი, პარიზი-თბილისი.

ავტოგრაფი, შავი, 1 ფ.

პირი: გიორგი ბრეიტბურგი, გიორგი წერეთელი, ნელი [აბაშიძე], ვახტანგ [აბაშიძე], ზურაბ [აბაშიძე], კალისტრატე სალია.

ტოპონიმი: მიუნხენი.

162. აფასებს ირაკლი აბაშიძის მოღვაწეობას.

1968 წ. 31 მარტი, პარიზი-[თბილისი].

ავტოგრაფი, 2 ფ.

ტოპონიმი: პარიზი.

163. კერძო ხასიათის.

1969 წ. 22 ნოემბერი.

ავტოგრაფი, ასლი, 1 ფ.

პირი: კ. გამსახურდია.

ტოპონიმი: პარიზი, გომბორი, შუამთა.

164. აცნობებს, რომ გაიცნო ოთარ თენგიშვილი.

უთარილო, პარიზი-თბილისი.

ავტოგრაფი, ასლი, 1 ფ.

165. კერძო ხასიათის.

უთარილო, პარიზი-თბილისი.

ავტოგრაფი, დაწერილია ნინო სალიას სავიზიტო ბარათის მეორე გვერდზე, პირი, 1 ფ.

[ასათიანი] ლიანა

166. კერძო ხასიათის.

1967 წ. 2 თებერვალი, პარიზი-თბილისი.

ავტოგრაფი, შავი, 1 ფ., 1 კ.

პირი: დავით [თორაძე].

ბაგრატიონი ელენე

167. კერძო ხასიათის.

1950 წ. 23 თებერვალი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

პირი: კალისტრატე სალია.

168. კერძო ხასიათის.

1968 წ. 1 მარტი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ასლი, 1 ფ.

პირი: ირაკლი ბაგრატიონი.

169. კერძო ხასიათის.

1968 წ. 10 მარტი, შვეიცარია.

376. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ ბოლო ნომრის გაგზავნისთვის. სწერს, რომ დაინტერესებულია ტაო-კლარჯეთის ძეგლებით. აცნობებს, რომ ქართულ ენას სწავლობს [კიტა] ჩხენკელის გრამატიკით და აპირებს აგიოგრაფიულ ტექსტებზე მუშაობას.

უთარილო (2 სექტემბერი), პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, ბოლონაკლული, 1 ფ.

პირი: ჟან-პიერ მაე.

ტოპონიმი: საქართველო.

მარციო მარცადური

377. სწერს, რომ ამზადებს სტატიას საქართველოში რუსი ფუტურისტების მოღვაწეობის შესახებ 1917-1921 წლებში. სთხოვს მიაწოდოს ცნობები გრიგოლ რობაქიძის შესახებ.

1980 წ. 20 თებერვალი, ვენეცია-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ტოპონიმი: თბილისი.

მაჩაბელი ზურაბ

378. აცნობებს, რომ „ბედი ქართლისას“ გამოცემისთვის უგზავნის 4000 ფრანკს.

1956 წ. 30 ნოემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ქსენია სასანია, [ევგენი] გეგეჭკორი, კანდელაკი.

მელაშვილი აჰმედ ოზქანი

379. უგზავნის თავისი სოფლის სურათებს, იქ შემორჩენილი ქართველების გვარებს. აცნობებს, რომ სოფელში კულტურის სახლი შენდება.

1980 წ. 2 მაისი, ბურსა (თურქეთი).

მანქანაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

პირი: ქოქოლაძე, კირკიტაძე, ბასილაძე, გორაძე, გურგენიძე, ჯ. ჯინჭარაძე, კახიძე, ხინკილაძე.

მელიქოვი ირენ

380. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ გაგზავნისათვის.

უთარილო.

ავტოგრაფი და ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ირენ მელიქოვის სავიზიტო ბარათზე, 1 ფ.

381. აღფრთოვანებას გამოთქვამს კალისტრატე სალიას წიგნის გამო.

უთარილო (10 ნოემბერი), სტრასბურგი-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

მეტრეველი ელენე

382. სწერს, რომ, მისი თხოვნის თანახმად, მიხეილ ქავთარიამ ამოკრიფა ცნობები წყაროებიდან ქეთევან წამებულის შესახებ.

1973 წ. 16 იანვარი, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

383. აცნობებს, რომ თამილა მგალობლიშვილის ხელით უგზავნის სტატიას გამოსაქვეყნებლად.

1974 წ. 21 ნოემბერი, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, პირი, 1 ფ.

პირი: გასტონ ბუაჩიძე.

384. სთხოვს, ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის გაუგზავნოს 1983 წლის „ბედი ქართლისას“ 50 ეგზემპლარი.

1983 წ. 20 მაისი, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

385. აცნობებს, რომ პეტერსისგან მიიღო 150 წიგნი.

1984 წ. 19 მარტი, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

მოლიტორი იოზეფ

386. სწერს, რომ აპირებს "Oriens Christianus"-ში გამოაქვეყნოს „ბიბლიის“ 1963 წლის ქართული გამოცემიდან „ეპისტოლეების“ ძველი ქართული თარგმანების ლათინური თარგმანი, რომელსაც შეუდარებს პეშიტას. წუხს, რომ ვერ სარგებლობს „პავლეს ეპისტოლეების“ ძველი ქართული თარგმანით, რადგან მისი გამოცემა თბილისში ყოვნდება.

1972 წ. 20 დეკემბერი.

ავტოგრაფი, გერმანულ ენაზე, 1 ფ.

პირი: აკაკი შანიძე, დრაგე.

ტოპონიმი: ვენა, მიუნხენი, ლუვენი.

მურავიევი სერჟი

387. სწერს, რომ უგზავნის სტატიას ქართული ანბანის შესახებ. სთხოვს, დაბეჭდოს ჟურნალში.

1980 წ. 17 დეკემბერი, მოსკოვი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: მარი პოლ დიუმინილი.

ნეგრელი დომინიკ

388. სწერს, რომ უგზავნის ჟ. ვაჩეიშვილის ორ სტატიას, რომლებიც მათი ჟურნალის პროფილს არ შეეფერება.

1983 წ. 22 ივნისი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ნიკურაძე ალექსანდრე

389. სწერს ომის დროს ქართველების მიერ მოწყობილ აქციაზე ქართველი ებრაელების გადასარჩენად.

1971 წ. 24 ივნისი.

ავტოგრაფი, ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: ევგენი გეგეჭკორი, მიხეილ კედია.

ტოპონიმი: პარიზი, ბერლინი, კანი.

ნიჟჰოფი მარტინუს

390. უგზავნის „ბედი ქართლისას“ 1984 წ. ხელმომწერთა სიას და სთხოვს დროულად მიაწოდოს ზედნადები.

1984 წ. 8 აგვისტო, ლა ჰეიე-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ბლანკზე, 1 ფ.

ოლსნერი იოახიმ

391. უზიარებს თავის მოსაზრებას ჰანც ფეინრიხის ნაშრომზე ქართული ენის შესახებ.

1978 წ. 17 ოქტომბერი, იენა-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: გერტრუდა პეტჩი.

ოზბაი ჯემალეტინ

392. სთხოვს, გაუგზავნოს მის ხელთ არსებული კავკასიოლოგიური ხასიათის ლიტერატურა და კატალოგი ამ ლიტერატურის შესახებ.

1979 წ. 20 მარტი, თურქეთი.

მანქანაზე ნაბეჭდი, თურქულ ენაზე, 1 ფ.

პაპავა აკაკი

393. სთავაზობს ჟურნალში გამოსაქვეყნებლად ლექსს (ლექსი არ ახლავს).

1958 წ. 1 დეკემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ., 1 კ.

პირი: ნინო [სალია], თამარ [პაპავა].

პერონინი ანრი

394. მადლობას უხდის „ქართველი ერის ისტორიის“ ერთი ეგზემპლარის გაგზავნისთვის.

უთარილო, პარიზი.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ანრი პერონინის სავიზიტო ბარათზე, 1 ფ.

პეჩი გერტრუდა

395. მწუხარებას გამოთქვამს რენე ლაფონის გარდაცვალების გამო. თვლის, რომ მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია კავკასიოლოგებისთვის.

1974 წ. 18 თებერვალი, იენა-პარიზი.

ავტოგრაფი, გერმანულ ენაზე. 1 ფ.

396. აცნობებს, რომ თავისი ნაშრომის კორექტურა არ მიუღია. სწერს, რომ „გეორგიკა“ მნიშვნელოვანი კრებულია ახალგაზრდა მეცნიერთათვის.

1981 წ. 13 მაისი, იენა-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ფენრიხი.

ტოპონიმი: თბილისი.

პიგე დორა

397. მადლობას უხდის წიგნის გაგზავნისთვის. სწერს, რომ ნაშრომი ნამდვილად იმსახურებს მიღებულ ჯილდოებს.

1980 წ. 1 აგვისტო.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

398. ატყობინებს, რომ მიიღო „ბედი ქართლისა“, რომელშიც თავისი სტატიაა გამოქვეყნებული, რისთვისაც მადლობას უხდის.

1981 წ. 1 ივნისი, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

399. უგზავნის ლიტურგიკული ციკლის შესახებ მისი სტატიისათვის მოთხოვნილი გვერდისა და ცხრა ილუსტრაციის ფოტოპირი. სთხოვს მე-15 გვერდს დაუმატოს ინდექსი 44. სთხოვს გამომცემლობამ დაუბრუნოს წინა სტატიის ფოტოილუსტრაციები.

1982 წ. 3 ოქტომბერი, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

400. სწერს, რომ ვენაში ბუქარესტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თანამედროვე ხელოვნების კოლოქვიუმს „სუპერ-დიდი“ სახელმწიფოების წარმომადგენლები და ქართველები არ ესწრებოდნენ. ასევე აღნიშნავს, რომ კოლოქვიუმზე სოციალისტური ქვეყნების არცერთი წარმომადგენელი არ ყოფილა.

1982 წ. 17 დეკემბერი, ვენა-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

ტოპონიმი: ბუქარესტი, მიუნხენი.

401. აცნობებს, რომ ვახტანგ ბერიძისგან მიიღო თბილისში, სიმპოზიუმზე, მიწვევა, რისთვისაც ამზადებს მოხსენებას.

1983 წ. 13 მარტი, მიუნხენი-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

402. ულოცავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევას.

1984 წ. 8 ნოემბერი, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

ტოპონიმი: მიუნხენი.

პუარიე პოლ-იუბერი

403. სთხოვს გაუგზავნოს „ბედი ქართლისას“ ყველა ნომერი და ჩართოს ხელისმომწერთა სიაში. აცნობებს, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტიდან მიიღო ქართული წიგნები.

1981 წ. 23 მარტი, კანადა.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ჟან-პიერ მაე, გ. შარაშიძე, ბერნარ უტიე, ელენე მეტრეველი.

ჟანერასი ს.

404. მადლობას უხდის „ქართველი ერის ისტორიის“ მიწოდებისათვის. აცნობებს, რომ აპირებს ბარსელონაში თეოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალში გამოაქვეყნოს აღნიშნული წიგნის მიმოხილვა. უგზავნის თავის სტატიას, რომელიც რომში იბეჭდება.

1983 წ. 5 ნოემბერი, ბარსელონა-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ჟლენტი ა.

405. სწერს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება ყოველწლიურად უგზავნის პერიოდულ პრესასა და სხვადასხვა ლიტერატურას.

1976 წ. 14 დეკემბერი, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, ბლანკზე, 1 ფ.

რამიშვილი აკაკი

406. სთხოვს გაუგზავნოს „ქართველი ერის ისტორიის“ სამი ეგზემპლარი, რადგან ამზადებს წიგნს დამოუკიდებელ საქართველოზე, რომელშიც ძველი ისტორიაც შევა. აცნობებს ლონდონის ერთი ბიბლიოთეკის მისამართს, რომელსაც ძირითადად საბჭოთა გამოცემები აქვს და სადაც იზრდება ინგლისის პოლიტიკური ელიტა. ურჩევს, გადაუგზავნოს ამ ბიბლიოთეკისთვის

წიგნი და „ბედი ქართლისა“.

1984 წ. 12 აპრილი, ლონდონი-პარიზი.

ავტოგრაფი, ბლანკზე, 1 ფ.

რათი უილიამ

407. სთხოვს „ბედი ქართლისას“ 24-ე ნომრის გაგზავნას.

1978 წ. 4 აპრილი, ორეგანი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

რეიფილდი დონალდ

408. სწერს, რომ დასაბუქდად უგზავნის სტატიას ქართულ ენაში ხეების სახელების შესახებ, რომელიც წაიკითხა კავკასიური ენათმეცნიერების კონფერენციაზე.

1983 წ. 23 სექტემბერი, ლონდონი.

ავტოგრაფი, ბლანკზე, 1 ფ.

409. მაძღობას უხდის „ქართველი ერის ისტორიის“ გაგზავნისათვის.

1983 წ. 24 ოქტომბერი, ლონდონი.

ავტოგრაფი, ბლანკზე, 1 ფ.

რენუ შარლ

410. მაძღობას უხდის „ბედი ქართლისას“ 34-ე ნომრის გაგზავნისათვის.

1981 წ. 8 ივნისი, კალკა-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

411. სთხოვს გაუგზავნოს 1983 წლის „ბედი ქართლისა“.

1984 წ. 27 თებერვალი, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

რიშარი ფრანსის

412. სწერს, რომ „ბედი ქართლისაში“ დასაბუთდად უგზავნის სტატიას ისლამურ-ქრისტიანული ურთიერთობის შესახებ საქართველოში.

1981 წ. 17 სექტემბერი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ტოპონიმი: ირანი, კახეთი.

413. აცნობებს, რომ მიიღო „ქართველი ერის ისტორია“. მადლობას უხდის იმისთვის, რომ აპირებს „ბედი ქართლისაში“ დაბეჭდოს მისი სტატია.

1981 წ. ოქტომბერი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

414. მადლობას უხდის თავისი სტატიის გამოქვეყნებისთვის „ბედი ქართლისაში“ და სთხოვს ამონაბეჭდების გაგზავნას.

1982 წ. 23 ივლისი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

რობინზონი ვ.

415. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ გაგზავნისათვის. აღნიშნავს, რომ მ. ბრიერი დაეხმარა წარწერის ამოკითხვაში.

1958 წ. 5 მარტი, დეტროიტი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ვებერი, ილაზდი.

ტოპონიმი: დეტროიტი.

რორბახერი ჰაინრიხ

416. აცნობებს, რომ ბონში მოწონება დაიმსახურა მისმა ნაშრომმა საქართველოს შესახებ. სთხოვს მიაწოდოს „ქართველი ერის ისტორია“ ინგლისურ ენაზე.

1983 წ. 14 აგვისტო, ბონი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ვ. ბოედერი, ნოდარ [კაკაბაძე], ვ. კახნიაშვილი, კარლ ჰორსტ შმიდტი.

ტოპონიმი: საქართველო, იენა, საფრანგეთი.

417. მადლობას უხდის „ქართველი ერის ისტორიის“ გაგზავნისთვის. აცნობებს, რომ ამზადებს ნაშრომს საქართველოს შესახებ. სწერს, რომ „გეორგიკაში“ კარგი რეცენზია იყო მის წიგნზე.

1983 წ. 1 ოქტომბერი, ბონი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

418. სწერს, რომ მიიღო ნ[ოდარ] კაკაბაძის სტატია. მიიჩნევს, რომ ნაშრომი გადასამუშავებელია.

1983 წ. 16 ოქტომბერი, ბონი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

419. აცნობებს, რომ გამოფენა „ადრინდელი მთის ხალხი სომხეთსა და კავკასიაში“ მოეწყობა ბონის სამეცნიერო ცენტრში. სთხოვს, ამ ღონისძიების თაობაზე დაიბეჭდოს „ბედი ქართლისას“ მომდევნო ნომერში. ერთვის ინფორმაცია კავკასიის კულტურისა და მომავალი გამოფენის შესახებ.

1985 წ. 28 ივლისი, ბონი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 3 ფ.

420. სთხოვს „ბედი ქართლისას“ ნომრების გაგზავნას.

1985 წ. 29 სექტემბერი, ბონი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: თოფურია.

როსი ფრანკო

421. სთხოვს მიუთითოს კარგ ლექსიკონზე, გრამატიკასა და მარტივ ტექსტებზე ქართული ენის შესასწავლად.

1979 წ. 14 იანვარი, მილანი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

რუხაძე ელენე

422. აღფრთოვანებას გამოთქვამს „ქართველი ერის ისტორიის“ ფრანგული ვერსიის გამო. სწერს, რომ აპირებს ინგლისური ვერსიის წაკითხვას. მადლობას უხდის საქართველოს ისტორიის წარმოჩენისთვის.

1983 წ. 16 მაისი, ლოზანა-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

[სალია] ვალოდია

423. კერძო ხასიათის.

1983 წ. 26 აპრილი, თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ელენე მეტრეველი.

ტოპონიმი: პარიზი, შვეიცარია, წალენჯიხა.

სალია კ.

424. ულოცავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევას. ატყობინებს თავისი ოჯახის ამბებს.

1983 წ. 10 ნოემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

სალიები ნარგიზა და გურამ

425. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ მიწოდებისთვის და ატყობინებენ, რომ უგზავნიან სალიების მომავალი თაობის ფოტოს.

1981 წ. 18 ივნისი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ზვიად სალია, ზაზა სალია, სალომე სალია.

სანიკიძე თამაზ

426. ულოცავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევას.

1983 წ. 3 ოქტომბერი, თბილისი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

ტოპონიმი: მოსკოვი.

427. ულოცავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევას. ატყობინებს, რომ უგზავნის ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხული თავისი მოხსენების ტექსტსა და ილუსტრაციებს ჟურნალში დასაბეჭდად.

[1983 წ.]

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: გასტონ ბუაჩიძე.

ტოპონიმი: პარიზი, თბილისი.

სილოგავა ვალერი

428. აცნობებს, რომ უგზავნის რეცენზიას პარუირ მურადიანის ნაშრომზე – „ქართული წარწერების კრებული“ – ისტორიულ-ფილოსოფიური კომენტარებით და სთხოვს მის გამოქვეყნებას ჟურნალში „ბედი ქართლისა“.

1980 წ. 18 მარტი.

ავტოგრაფი, 2 ფ.

პირი: ელენე მეტრეველი, ბერნარ უტიე.

ტოპონიმი: სომხეთი, საქართველო.

სმიტი რობერტ

429. ატყობინებს, რომ დაასრულა მუშაობა სტატიაზე, რომელიც უნდა ათარგმნინოს და 20 ოქტომბრისათვის გაუგზავნის.

1983 წ. 3 ოქტომბერი, ლეიდენი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: კ. პარისი, კიპერი.

სულხანიშვილი ა[ლექსანდრე]

430. აცნობებს, რომ აპირებს ჟურნალის გამოცემას და სთხოვს დახმარებას ამ საქმეში.

უთარილო.

ავტოგრაფი, თავნაკლული, 1 ფ.

ტოპონიმი: სან-ფრანცისკო, ლოს-ანჯელესი, სანტა-როზა.

სურგულაძე აკაკი

431. მაღლობას უხდის ექვთიმე თაყაიშვილის შესახებ თავისი ნაშრომის შეფასებისთვის. სწერს, რომ უგზავნის სამ ეგზემპლარს. აცნობებს, რომ ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლის ნემტის გადმოსვენებაზე ინფორმაცია არა აქვს.

1977 წ. 21 სექტემბერი, თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ს. გოგოლაშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, ნამეტიკა გოგუაძე.

ტაბაღუა ილია

432. სწერს, რომ მუშაობს მონოგრაფიაზე, რომელიც მათ მიეძღვნება.

1977 წ. 8 ნოემბერი, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 2 ფ.

პირი: თამარ ქურციკაშვილი, აბესალომ ქურციკაშვილი, ნინო ქურციკაშვილი.

ტოპონიმი: თელავი, ვარდისუბანი, იტალია, პოლონეთი, ესპანეთი, ბილბაო.

433. სწერს, რომ თუ გაგზავნილი ორი სტატიის გამოქვეყნება ერთდროულად ვერ მოხერხდება, პირველ რიგში, დაბეჭდოს წერილი პროფესორ ლ. სანიკიძეზე. აცნობებს, რომ წიგნები გამოვა უახლოეს მომავალში და პპირდება მიწოდებას.

1978 წ. 30 ოქტომბერი, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშია, ნინო სალია.

434. აცნობებს, რომ გამოაქვეყნა რეცენზია მის წიგნზე, აპირებს უფრო ვრცელი მიმოხილვის დაწერას და, როცა გამოაქვეყნებს, გაუგზავნის.

1980 წ. 10 აგვისტო, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

435. ულოცავს „ქართველი ერის ისტორიის“ ინგლისურ ენაზე თარგმნას. სწერს, რომ აპირებს რეცენზიის დაწერას. აცნობებს, რომ ყველა არქივში დაუშვებს და ბევრი მასალა შეაგროვავს საქართველოს შესახებ.

1980 წ. 22 ოქტომბერი, რომი-პარიზი.

ავტოგრაფი, 2 ფ.

პირი: არნოლდ [ჩიქობავა], ჟან პიერ მაე, ლუიჯი მაგაროტო, გიორგი მელიქიშვილი, ნინო ყაუხჩიშვილი, ლევან დადიანი.

ტოპონიმი: ვენეცია, რომი, ფლორენცია, სამეგრელო, გურია, იმერეთი.

436. სთხოვს, რომ დაუბეჭდოს ქეთევან ბაგრატიონ-[ორსინთან] ერთად დაწერილი სტატია ნიკიფორე ირბახის ელჩობაზე. სწერს, რომ იტალიის სხვადასხვა ქალაქში წაიკითხა ლექციები იტალია-საქართველოს ურთიერთობებზე. აცნობებს, რომ ესწრებოდა ქართული პოეზიის საღამოს ვენეციაში, სადაც გალაკტიონის ლექსები ქართულად წაიკითხა.

1980 წ. 25 ნოემბერი, პადოვა.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ლუიჯი მაგაროტო, გიორგაძე, ნინო ყაუხჩიშვილი.

ტოპონიმი: რომი, იტალია, თბილისი, ფლორენცია.

437. მწუხარებას გამოთქვამს მისი ბოლო დეპეშის გამო და უხსნის, თუ რატომ დაწერა მასზე სტატია. სთხოვს, რომ გაუგზავნოს „ბედი ქართლისას“ ნომრები, რომლებიც არა აქვს.

1983 წ. 5 ნოემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, 2 ფ.
პირი: ელო [ელენე მეტრეველი].
ტოპონიმი: თბილისი.

438. აცნობებს, რომ აპირებს გამოსცეს წიგნი სათაურით: „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში XIII-XX სს.“ ატყობინებს, რომ პირველი ტომი იბეჭდება და დანარჩენებზე მუშაობს.

1984 წ. 10 აპრილი.
მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.
ტოპონიმი: თბილისი.

ტანტანი ლუი

439. კერძო ხასიათის.

1971 წ. 22 აგვისტო, მაინი-პარიზი.
ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

440. კერძო ხასიათის.

1972 წ. 19 მარტი, ნიუ-იორკი-პარიზი.
ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

ტარდი ლაიოშ

441. აქებს გურამ მახარაძეს. სთხოვს მის წიგნს „ქართველი ერის ისტორიას“.

იქვე, გურამ შარაძის წერილი კალისტრატე სალიას. მადლობას უხდის „ბედი ქართლისაში“ მის ნაშრომზე დაბეჭდილი რეცენზიისთვის. მაღალ შეფასებას აძლევს კალისტრატე სალიას „ქართველი ერის ისტორიას“. ატყობინებს, რომ ცნობას ამის შესახებ დაბეჭდავს გაზეთ „კომუნისტში“.

1980 წ. 12 ივლისი.
მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, 1 ფ.
ავტოგრაფი, 1 ფ.
ტოპონიმი: სოფელი ზანა.

442. სწერს, რომ სტუმრად ჰყავს გურამ შარაძე და მისი მეუღლე. რეკომენდაციას უწევს გურამ შარაძეს „ბედი ქართლისაში“ წერილების გამოსაქვეყნებლად.

1981 წ. 15 აპრილი, ბუდაპეშტი-პარიზი.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

იმავე ფურცელზე გურამ შარაძის წერილი. კერძო ხასიათის. 1981 წ. 14 აპრილი.

443. კერძო ხასიათის.

1981 წ. 10 ოქტომბერი, ბუდაპეშტი-პარიზი.

ავტოგრაფი, გერმანულ ენაზე, 1 ფ.

444. სთხოვს დაწეროს რეცენზია მის წიგნზე „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში“.

1982 წ. 28 მაისი, ბუდაპეშტი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: გურამ შარაძე.

445. ულოცავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრობას.

1983 წ. 2 ნოემბერი, ბუდაპეშტი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, 1 ფ.

ტიერი ნიკოლ

446. სწერს, რომ უგზავნის დამატებით ფოტოსა და შენიშვნებს პირველი სტატიისთვის.

1984 წ. 6 იანვარი, ეტამპი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

447. სწერს, რომ უგზავნის კორექტურას. სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ვახტანგ ბერიძის სტატიას არ ახლავს ილუსტრაციები.

უთარილო.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

ტიერი ჟან-მიშელ

448. სწერს, რომ თავის მომავალ სტატიაში დაუბრუნდება ჩილდირის ტბის ეკლესიების დათარიღების საკითხს. აცნობებს, რომ იმ რეგიონში სხვა ტაძრებიც აღმოაჩინა.

1969 წ. 21 აგვისტო, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

ტუზო ჟან

449. სთხოვს გაუგზავნოს მისი „ქართველი ერის ისტორიის“ ერთი ეგზემპლარი ფაქტურის დართვით.

1983 წ. 2 დეკემბერი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

450. სთხოვს „ბედი ქართლისას“ 41-ე ტომს ფაქტურასთან ერთად.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ჟან ტუზოს სავიზიტო ბარათზე, 1 ფ.

ტუიტი ქევინ

451. სთხოვს აცნობოს, როგორ შეიძლება გახდეს „ბედი ქართლისას“ ხელმომწერი. ატყობინებს, რომ სურს შეიძინოს ძველი ნომრები.

1982 წ. 10 ივნისი, ჩიკაგო-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ჰოვარდ არონსონი.

ტოპონიმი: ჩიკაგო.

452. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ გაგზავნისთვის. სთხოვს შემდეგ ნომერს, აგრეთვე – მის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსანსა“ და სხვა ქართულ ტექსტებს.

1982 წ. 16 დეკემბერი, ჩიკაგო-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

უტიე ბერნარ

453. სწერს, რომ პ. მიშელი აპირებს ვრცელი სტატიის გამოქვეყნებას „ბედი ქართლისაში“ წმინდა ნინოს შესახებ.

1981 წ. 27 ივლისი, სოლემი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ელენე მეტრეველი, ზურაბ სარჯველაძე, იულიუს ასფალგი, გასტონ ბუაჩიძე.

ტოპონიმი: რომი.

ფავრო რობერტ

454. აცნობებს, რომ პუატიეს შუა საუკუნეების ცივილიზაციის კვლევის ცენტრის მიერ მოწყობილი სესიის მსმენელებმა მაღალი შეფასება მისცეს ალექსანდრე ალექსიდის ლექციას ქართული ცივილიზაციის შესახებ.

უთარილო.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, თავნაკლული, 4 ფ.

ფეინრიხი ჰანც

455. სწერს, რომ უბრუნებს ჟურნალში დასაბეჭდი გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თარგმანის ჩასწორებულ ანაბეჭდებს.

1972 წ. 7 მარტი, იენა-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

456. მადლობას უხდის გამოქვეყნებული სტატიისთვის. უგზავნის ახალს. ჰპირდება გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელას“ მიწოდებას.

1975 წ. 28 ოქტომბერი, იენა-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

457. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ მიწოდებისათვის. აცნობებს, რომ უგზავნის ჟურნალ „გეორგიკას“.

1980 წ. 29 ივნისი, იენა.

ავტოგრაფი, 1 ფ.

458. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ გაგზავნისათვის.

1982 წ. 2 ივნისი, იენა.

ავტოგრაფი, 1 ფ.

ფერგუსონი მ.

459. აცნობებს, რომ მიიღო „ბედი ქართლისას“ 1983 წლის 41-ე ნომერი, სთხოვს 1980 წლის 38-ე ნომრის გაგზავნას.

1983 წ. 15 ივნისი, დურჰამი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ფიფია ეგნატე

460. აცნობებს, რომ ჟურნალ „ბედი ქართლისას“ შესახებ კიდევ ერთი სტატია დაიბეჭდა თბილისში.

1978 წ. 5 ოქტომბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: აკაკი შანიძე, ვახტანგ [ფიფია].

ტოპონიმი: პარიზი.

ფიფია შოთა

461. აცნობებს ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშიას მიერ 1977 წელს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილის შინაარსს.

1977 წ. 29 მარტი, სოფელი ობუჯი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

ფლური ლეა

462. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ მიწოდებისათვის. სწერს, რომ გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებების გამოცემის შესახებ არაფერი იცის. სწერს, რომ აღნიშნულ საკითხზე, სავარაუდოდ, ინფორმირებული უნდა იყოს გ. კორტისი. უგზავნის მის მისამართს.

1979 წ. 17 ივნისი, ციურიხი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: იოლანდა მარშევი.

ტოპონიმი: უენევა.

ფოგტი ჰანს

463. სწერს, რომ ნამდვილად დაიმსახურა ოსლოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის ტიტული.

1965 წ. 23 ივნისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, ქსეროასლი, 1 ფ.

464. სწერს, რომ მიიღო „ბედი ქართლისას“ ბოლო ტომი.

1979 წ. 4 მაისი, ოსლო-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ელენე მეტრეველი, დიუმეზილი, ჰიუიტი.

465. მადლობას უხდის „ქართველი ერის ისტორიის“ გაგზავნისათვის.

1980 წ. 9 აპრილი, ოსლო-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ტოპონიმი: თბილისი.

466. მადლობას უხდის წერილისთვის. გამოსაქვეყნებლად უგზავნის სტატიას კავკასიურ ტოპონიმებზე.

1980 წ. 13 აგვისტო, ოსლო-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

467. აინტერესებს, დასავლეთ გერმანიაში „გეორგიკას“ გამოცემა „ბედი ქართლისასთვის“ კონკურენციის გასაწევად ხომ არ დაიწყეს.

1981 წ. 16 თებერვალი, ოსლო-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

468. კერძო ხასიათის.

1983 წ. 28 დეკემბერი, ოსლო-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

ფრენჩი დევიდ

469. სთხოვს „ბედი ქართლისას“ ნომრების გაგზავნას ლონდონის მისამართზე.

1976 წ. 13 ივლისი, ანკარა-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

დამბაშიძე ვახტანგ

470. აწვდის მითითებებს ჟურნალში [„ბედი ქართლისა“] გამო-საქვეყნებელი სტატიის შესახებ. სწერს [ოლივერ] უორდროპთან გიზიტისა და ინგლისში ქართული კომიტეტის დაარსების შესახებ.

1948 წ. 3 ივლისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, დაზიანებული, 1 ფ., 1 კ.

ტოპონიმი: კუნძული ლიპარი.

დუდუშაური გურამ

471. სწერს, რომ თანხმობის შემთხვევაში სურს, „ბედი ქართლისაში“ დასაბეჭდად გაუგზავნოს წერილი ათონის ქართველთა შესახებ. გამოთქვამს აღშფოთებას, რომ „მცირე ლარუსში“ შოთა რუსთაველი შეტანილი არაა. ურჩევს, საფრანგეთში მცხოვრები ქართველები დაუკავშირდნენ ლექსიკონის შემდგენლებს და თავიანთი უკმაყოფილება გამოხატონ.

უთარილო, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, 1 ფ.

პირი: ს. ყაუხჩიშვილი, ჟ. სიმენონი.

ყაუხჩიშვილი ნინო

472. აცნობებს, რომ აპირებენ, ბერგამოში ჩაატარონ ქართული ენის კურსი, რომელიც შემდგომში გაიმართება ზაფხულობით. კურსს წაიყვანენ ქართველი პროფესორები. სთხოვს დაეხმაროს ქართველი სპეციალისტების შერჩევაში.

1968 წ.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ბლანკზე, 1 ფ.

473. სწერს, რომ მიიღო „ბედი ქართლისას“ ბოლო ნომერი.

1980 წ. 12 ივლისი, მილანი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: სერჯიო რომანო.

ტოპონიმი: იერუსალიმი, ვატიკანი, ბარი.

474. ატყობინებს, რომ დაესწრო საქართველოში გამართულ ქართული ხელოვნების მე-4 სიმპოზიუმს, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევს. სწერს, რომ მიიღო ჟურნალის ბოლო ნომერი. აცნობებს, რომ მალე გაუგზავნიან თბილისში წაკითხული მოხსენებების ტექსტებს.

1983 წ. 20 ივნისი, მილანი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ვ. ბერიძე.

ტოპონიმი: ბერგამო.

ეიფიანი ალექსანდრე

475. მწუხარებას გამოთქვამს მიხეილ წერეთლის გარდაცვალების გამო. სწერს, რომ სათვისტომოს სახელით სამძიმრის წერილს გაუგზავნის გამოსაქვეყნებლად.

1965 წ. 16 მარტი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

[შავიშვილი ხარიტონ]

476. სწერს, რომ გრიგოლ რობაქიძის არქივი ინახება ბერნის სასამართლოსა და პოლიციის დეპარტამენტში.

[1962 წ.]

ავტოგრაფი, თავბოლონაკლული, 1 ფ.

პირი: ა. ზიგრისტი, კიტა ჩხენკელი.

შანიძე აკაკი

477. ულოცავს საფრანგეთის აკადემიის ჯილდოს მიღებას. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ 38-ე ნომრის გაგზავნისათვის.

1980 წ. 7 აგვისტო, თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფის ქსეროასლი, 1 ფ.

პირი: მზექალა შანიძე.

ტოპონიმი: სოფია.

478. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ 39-ე ნომრის გაგზავნისთვის. აცნობებს, რომ იბეჭდება მისი „ძველი ქართული ენის გრამატიკის“ გერმანული თარგმანი.

1981 წ. 16 ივნისი, თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

479. აცნობებს, რომ მიიღო „ბედი ქართლისას“ უკანასკნელი ნომერი. ჰპირდება, რომ, როგორც კი დაიბეჭდება, გაუგზავნის „ქართული ენის გრამატიკის“ გერმანულ თარგმანს.

1982 წ. 22 ივნისი, თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

480. ულოცავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსად არჩევას. სწერს ჟურნალ „ბედი ქართლისას“ მნიშვნელობის შესახებ ქართველოლოგიის განვითარების საქმეში.

1983 წ. 17 ოქტომბერი, თბილისი.

ავტოგრაფი, ორ ეგზემპლარად, 2 ფ.

შანიძე მზექალა

481. ულოცავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევას. აწვდის შესწორებებს გაგზავნილი სტატიისთვის. მადლობას უხდის ბერნარ უტიეს ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული მისი ნაშრომის თარგმანისთვის.

1984 წ. 27 იანვარი, [თბილისი-პარიზი].

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 2 ფ.

შვაბე გუსტავ

482. სწერს, რომ მარტინ-ლუთერის უნივერსიტეტის არქივიდან უგზავნის მოთხოვნილ საბუთს ამ უნივერსიტეტში მისი სწავლისა და გერმანული ენის ფლობის შესახებ.

1961 წ. 8 მარტი, პალე-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: დ. აგლაძე.

ტოპონიმი: ბერლინი.

შიმოშია ტადაო

483. აცნობებს, რომ იმყოფებოდა ბასკოლოგთა შეხვედრებზე.

1980 წ. 3 ნოემბერი, ტოკიო-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: შოთა ძიძიგური, იური ზისტარი.

ტოპონიმი: ბასკეთი, გერნიკა, ბილბაო.

შმიდტი კარლ ჰორსტ

484. ატყობინებს, რომ გაუგზავნა სტატია „ბედი ქართლისაში“ დასაბეჭდად. მაღლობას უხდის ჟურნალის 39-ე ტომის მიწოდებისათვის.

1981 წ. 30 ივნისი, ბონი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

485. სწერს, რომ ბოედერმა გადასცა მისი წერილი. აცნობებს, რომ უგზავნის მოხსენებას საქართველოს შესახებ ჟურნალში დასაბეჭდად.

1982 წ. 10 ნოემბერი, ბონი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ჟან პიერ მაე, ელენე მეტრეველი.

შნიდერი მ[არიუსი]

486. სწერს, რომ უგზავნის თავისი ქმრის ფოტოს, ბიოგრაფიასა და შრომების ბიბლიოგრაფიას.

1984 წ. 15 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ივეტ გრიმო.

ჩანტლაძე გრეტა

487. აცნობებს, რომ დაამთავრა წიგნის – „ბასკური ენის შესავლის“ – წერა. ატყობინებს, რომ მუშაობს დისერტაციაზე და სთხოვს წიგნებს, რომლებიც თემის დასამთავრებლად სჭირდება.

1975 წ. 5 მარტი.

ავტოგრაფი, 2 ფ.

პირი: შოთა ძიძიგური, რენე ლაფონი.

ტოპონიმი: საფრანგეთი, საქართველო.

ჩიქოვანი ვ.

488. აცნობებს მამამისის, მიხეილ იასონის ძე ჩიქოვანის, გარდაცვალებას. სწერს, რომ იგი აფასებდა და დიდ პატივს სცემდა მათ ქართული კულტურის კვლევისა და პოპულარიზაციის გამო. როგორც ეთნოგრაფი, საჭიროების შემთხვევაში, სთავაზობს დახმარებას.

1983 წ. 16 ნოემბერი, თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

ჩიქოვანი მიხეილ

489. ულოცავს ახალ წელს.

1980 წ. 24 დეკემბერი.

ავტოგრაფი, ღია ბარათი, 1 ფ.

490. სურს, რომ ესაუბროს ქართულ-ფრანგულ ფოლკლორულ ურთიერთობაზე. ატყობინებს, რომ მისი რედაქციით გამოვიდა „ქართული ხალხური პოეზიის“ მე-9 ტომი და აინტერესებს, უგზავნის თუ არა აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა მას ამ გამოცემებს.

1982 წ. 12 იანვარი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერით, 2 ფ.

პირი: ექვთიმე თაყაიშვილი, ბარონ დე ბაი.

ტოპონიმი: თბილისი, ლონდონი, იტალია.

წერეთელი მიხეილ

491. სწერს, რომ უგზავნის თავისი ნაშრომის დასაწყისს. აცნობებს, რომ შემდეგი ნაწილი გამოვა იანვარში. სწერს ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ საქმიანობის შესახებ. ასევე – „ბედი ქართლისას“ როლზე.

1950 წ. 14 დეკემბერი, მიუნხენი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: გაბაშვილი, გივი პაპავა, გრიგოლ [რობაქიძე].

ტოპონიმი: ამერიკა.

492. კერძო ხასიათის.

1961 წ. 9 იანვარი, მიუნხენი-პარიზი.

ავტოგრაფი, ღია ბარათზე, 1 ფ.

პირი: ჩხენკელი.

ჭეიშვილი ალექსანდრე

493. მადლობას უხდის „ქართველი ერის ისტორიის“ გაგზავნისათვის.

1984 წ. 19 მარტი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

ჯანაშია ნიკოლოზ (ლაშა)

494. ულოცავს 80 წლის იუბილეს. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ გაგზავნისთვის.

1981 წ. 14 აგვისტო.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ელენე [მეტრეველი].

ჯიბლაძე გიორგი

495. ულოცავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად არჩევას.

1983 წ. 13 ოქტომბერი, თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ილია ტაბალუა.

ჯობაძე ვახტანგ

496. სთხოვს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკისთვის „ბედი ქართლისას“ ძველი ნომრების გაგზავნას. სწერს, რომ ზაფხული ანტიოქიაში გაატარა.

1965 წ. 9 დეკემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

ჯობი მიხეილ

497. სწერს, რომ მიიღო კორექტურა და უგზავნის ჩამონათვალს იმ ტექნიკური ნიშნებისა, რომელთა მიხედვითაც უნდა გაკეთდეს კორექტურა.

1983 წ. 3 იანვარი, ბოხუმი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ხადური ს.

498. აცნობებს, რომ ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას არ

მიუღია მოთხოვნილი წიგნების მიკროფირები. სთხოვს აცნობოს, აქვს თუ არა ამ მიკროფირების გაგზავნის შესაძლებლობა.

1982 წ. 4 მარტი, თბილისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ხალვაში ფრიდონ

499. ჰპირდება ჟურნალ „ჭოროხის“ გაგზავნას. აცნობებს, რომ აღნიშნულ პერიოდულ გამოცემაში აპირებს ფრანგული შთაბეჭდილებების გამოქვეყნებას.

1973 წ. 18 იანვარი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ილია ტაბალუა, კონსტანტინე გამსახურდია, შოთა მესხია, პავლე ინგოროყვა.

ტოპონიმი: ბათუმი.

500. ულოცავს აკადემიის წევრად არჩევას.

1983 წ. 29 ნოემბერი, ბათუმი.

ავტოგრაფი, ღია ბარათზე, 1 ფ.

ხარაძე ვეგენი

501. სწერს, რომ დიდად აფასებს მის მოღვაწეობას.

1983 წ. 22 ივლისი, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

502. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა სახელით ულოცავს ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიური ჟურნალის დაარსებას და უსურვებს წარმატებებს.

უთარიდო, [თბილისი-პარიზი].

მანქანაზე ნაბეჭდი, ნასწორები, შავი, 1 ფ.

ხინკილაძე ხეირო-ვახტანგ

503. წუხს, რომ საფრანგეთში მისი ყოფნისას ვერ გაიცნო. სწერს მისი და აჰმედ მელაშვილის საქმიანობაზე ქართული კულტურის სფეროში. უზიარებს შთაბეჭდილებებს 1975 წელს საქართველოში მოგზაურობის შესახებ. ატყობინებს, რომ ჭანი ისტორიკოსი ნიაზი აჰმედ ბანოღლუ (ვანილიში) ამზადებს ნაშრომს საქართველო-თურქეთის ურთიერთობებზე. სთხოვს „ბედი ქართლისას“ ნომრებს.

1984 წ. 4 სექტემბერი, იენეგოლი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: გიორგი წერეთელი, იბერ მელაშვილი.

ტოპონიმი: ლევილი.

პანიხი ქრისტიან

504. მაღლობას უხდის „ბედი ქართლისას“ 41-ე ნომრის გაგზავნისთვის.

უთარილო, ტრიერი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პარასოვიჩი ოტო

505. სწერს, რომ თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტს უახლოეს მომავალში მიაწოდებს შეკვეთილ წიგნებს ნინო სალიას კაბინეტისთვის. ულოცავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრობას.

1984 წ. 14 თებერვალი, ვისბადენი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ტოპონიმი: თბილისი.

პარისი ჟოფრეი

506. აცნობებს, რომ ორი კვირა გაატარა ინგლისში ქართველებთან. 26 აპრილს მიემგზავრება სსრკ-ში და იმედოვნებს, რომ საქართველოშიც ჩავა.

1977 წ. 15 აპრილი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

პირი: დევიდ ლანგი.

ჰეკსენი რობერტ

507. აცნობებს, რომ აპირებენ კავკასიოლოგიის კათედრის დაარსებას. სთხოვს, მონაწილეობა მიიღოს კავკასიოლოგიისადმი მიძღვნილ მომავალ კონფერენციაში.

1984 წ. 4 დეკემბერი, გლასბორო (ნიუ-ჯერსი)-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ჰიუიტი ჯორჯ

508. სთხოვს აცნობოს, მისი წერილები – „ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა“ და „ჩრდილოეთის ქარი და მზე ხუნძურში“ – დაიბეჭდება თუ არა „ბედი ქართლისას“ მორიგ ნომერში.

1980 წ. 15 სექტემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

509. ატყობინებს, რომ ჰულის უნივერსიტეტში უნდა ასწავლოს კავკასიურ ენათა შედარებითი ტიპოლოგია. სთხოვს „ბედი ქართლისას“ ძველ და ახალ ნომრებს. მადლობას უხდის წლევეანდელი „ბედი ქართლისას“ გაგზავნისთვის.

1981 წ. 18 აგვისტო.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

510. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ გაგზავნისთვის. აცნობებს, რომ მისი ძალისხმევით ოპერას „აბესალომ და ეთერი“ მოისმენენ ინგლისელი მსმენელები.

1981 წ. 21 სექტემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ზაქარია ფალიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი.

511. სურს გაიგოს, შეუძლია თუ არა „ბედი ქართლისას“ რამდენიმე ნომრის გაგზავნა. აინტერესებს, დაბეჭდავს თუ არა ჟურნალში სერგო კლდიაშვილის ზღაპრის „ხალდეს“ ინგლისურ თარგმანს.

1982 წ. 6 იანვარი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

512. სიხარულს გამოთქვამს, რომ პარიზში გაიხსნა „კავკასიური წიგნთაყვანი“. სწერს, რომ „ბედი ქართლისაში“ დასაბეჭდად გაუგზავნის სვანური ტექსტის ინგლისურ და ქართულ თარგმანებს.

1982 წ. 22 ოქტომბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: ბერნარ უტიე.

ტოპონიმი: აფხაზეთი, პარიზი.

513. სწერს, რომ ჟურნალში გამოსაქვეყნებლად უგზავნის ჰულში გამართული „კავკასიური ენათმეცნიერების წრის“ სხდომის ანგარიშს. აცნობებს შემდგომი მუშაობის გეგმას.

1983 წ. 27 ივლისი, ჰული-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

514. სთხოვს „ბედი ქართლისაში“ რამდენიმე გვერდი დაუთმოს ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კავკასიური წიგნების კატალოგის დასაბეჭდად. აცნობებს, რომ დევიდ ლანგის პენსიაზე გასვლის გამო ინგლისში აღარაა ქართული ენის სწავლების შესაძლებლობა. სწერს, რომ კერძო პირების დაფინანსების იმედი აქვს. სთხოვს შემწეობას პარიზში მცხოვრებ ქართველოლოგებს.

1984 წ. 13 ივლისი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

ტოპონიმი: ვენა, ოსლო.

ჰიჩინსი ქეით

515. კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მისი წერილი დაიბეჭდება „ბედი ქართლისაში“.

1983 წ. 30 ნოემბერი, ურბანა-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ტოპონიმი: აზერბაიჯანი.

უცნობი – ნიკო

516. სწერს, რომ მისი ღვაწლი განუზომელია დასავლეთისთვის ქართული კულტურის გაცნობის საქმეში.

1957 წ. 6 იანვარი, პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

უცნობი – იუსტიციის პალატის წარმომადგენელი

517. უდასტურებს წერილის მიღებას გრიგოლ რობაქიძის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით.

1963 წ. 21 თებერვალი, ჟენევა-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

უცნობი (ხელმოწერა არ იკითხება)

518. სწერს, რომ უგზავნის ჩასწორებულ ამონაბეჭდებს.

1976 წ. 2 თებერვალი, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

უცნობი (ხელმოწერა არ იკითხება)

519. მადლობას უხდის „ბედი ქართლისას“ ტომების გაგზავნისთვის. უზიარებს სომხური ხელოვნების II სიმპოზიუმის შთაბეჭდილებებს.

1978 წ. 19 ოქტომბერი, რომი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: დევიდ ლანგი, ვ. ბერიძე.

ტოპონიმი: თბილისი.

უცნობი (ხელმოწერა არ იკითხება)

520. სწერს, რომ უგზავნის შესწორებულ სტატიას, რომელიც

თურქულ გამოცემებს ეხება. ატყობინებს, რომ ყვარყვარე ათაბაგის შესახებ ახალი მასალა მოიძია.

1980 წ. 21 მარტი, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

უცნობი – ძმა დაღმაზი

521. მადლობას უხდის „ქართველი ერის ისტორიის“ გაგზავნისთვის.

1980 წ. 19 ოქტომბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: მამა მელია, კ. ანდრონიკოვი, კრაჩინიკოვი, ვან ესბროკი, ბერნარ უტიე, ჟან პიერ მაე.

ტოპონიმი: ბაჩკოვო, იერუსალიმი.

უცნობი (ხელმოწერა არ იკითხება)

522. სთხოვს დაეხმაროს მის მიერ გამოქვეყნებული „ქართველი ერის ისტორიის“ შეძენაში.

1981 წ. 3 ივნისი, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

პირი: ბერნარ უტიე.

უცნობი – პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის წარმომადგენელი (ხელმოწერა არ იკითხება)

523. მადლობას უხდის ამონარიდის გაგზავნისათვის. აცნობებს, რომ ჟურნალი „ბედი ქართლისა“ არ მიუღია.

1982 წ. 27 ივლისი, პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

უცნობი – ვენის უნივერსიტეტის ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის წარმომადგენელი (ხელმოწერა არ იკითხება)

524. სთხოვს აცნობოს, სად შეიძლება შეიძინოს „ბედი ქართლისა“

მე-17 და მე-18 ნომრები. აინტერესებს, როგორ მიმდინარეობს ქართული გამოფენა პარიზში.

1982 წ. 5 დეკემბერი, ვენა-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ვახტანგ იმნაიშვილი, თამაზ გამყრელიძე.

უცნობი – ვენის უნივერსიტეტის ბიზანტინისტიკისა და ნეოგ-რეცისტიკის ინსტიტუტიდან.

525. ეხება საქართველოს გამოფენას პარიზში და ამ საქმეში კალისტრატე სალიას დამსახურებას. სწერს აკადემიის გამოცემების შესახებ. ატყობინებს, რომ ერთ-ერთი თანამშრომელი ტაო-კლარჯეთში იყო და იქაურ ძეგლებზე თბილისის კონგრესზე ისაუბრებს. მიუთითებს, რომ ინიციატივა უნდა აიღოს ძეგლების დაცვაზე.

1983 წ. 1 მარტი, ვენა.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, 1 ფ.

ტოპონიმი: სტამბოლი.

უცნობი – ლუვრის სასახლის წარმომადგენლი (ხელმოწერა არ იკითხება)

526. მაღლობას უხდის ვახტანგ ბერიძის მიწვევისთვის.

1983 წ. 22 თებერვალი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

უცნობი – მიშა

527. კერძო ხასიათის.

1983 წ. 9 მაისი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

პირი: მათე კერესელიძე, ლევან ჯაყელი.

ტოპონიმი: პარიზი, ყირიმი.

უცნობი (ხელმოწერა არ იკითხება)

528. მადლობას უხდის „ქართველი ერის ისტორიის“ გაგზავნისთვის. სთხოვს კიდევ ერთ ცალს დიმიტრი ჩხოტუასთვის.

1983 წ., 3 სექტემბერი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

უცნობი (ხელმოწერა არ იკითხება)

529. სწერს, რომ უგზავნის სტატიას გ. წერეთელის შესახებ.

უთარილო.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

უცნობი – ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის ბიზანტინისტიკის კომისიის წევრი

530. ატყობინებს, რომ ვენის უნივერსიტეტში ქართული ენის კურსს კითხულობს კორენი.

უთარილო.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ბოლონაკლული, 1 ფ.

პირი: ვახტანგ იმნაიშვილი, დრესლერი.

უცნობი (ხელმოწერა არ იკითხება)

531. სთხოვს გაუგზავნოს თავისი სტატიის ამონაბეჭდი საკორექტუროდ.

1982 წ. 8 მარტი, პარიზი.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ფ. კახე.

უცნობი (ხელმოწერა არ იკითხება)

532. კერძო ხასიათის.

1973 წ. 14 მაისი, მალტა-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ., 1 კ.

უცნობი

533. აცნობებს, რომ მონაწილეობა მიიღო კალისტრატე სალიას საპატიო აკადემიკოსად არჩევაში, რადგან აკადემიის საერთო კრებას მიაწოდა წერილი კალისტრატე სალიას შემოქმედებისა და „ბედი ქართლისას“ შესახებ.

უთარიდო.

ავტოგრაფი, თავბოლონაკლული, 1 ფ.

სხვადასხვა პირის წერილები ნინო სალიას

[ბაგრატიონი] ელენე

534. კერძო ხასიათის.

1967 წ. 29 იანვარი, მადრიდი-პარიზი.
ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.
პირი: ირაკლი [ბაგრატიონი].

535. კერძო ხასიათის.

1967 წ. 12 დეკემბერი, მადრიდი-პარიზი.
ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

536. კერძო ხასიათის.

1968 წ. 16 თებერვალი, მონტე-კარლო-პარიზი.
ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, კალკაზე, 2 ფ.

537. კერძო ხასიათის.

1968 წ. 22 თებერვალი, მონტე-კარლო-პარიზი.
ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, კალკაზე, 2 ფ.
პირი: ირაკლი [ბაგრატიონი].
ტოპონიმი: თბილისი.

538. აცნობებს, რომ მიიღო წიგნი.

1968 წ. 7 მარტი, მონტე-კარლო-პარიზი.
ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, კალკაზე, 1 ფ.
ტოპონიმი: მადრიდი.

539. კერძო ხასიათის.

1968 წ. 10 მაისი, მადრიდი-პარიზი.
ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 2 ფ., 1 ფ.

540. კერძო ხასიათის.

1968 წ. 4 ოქტომბერი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

541. კერძო ხასიათის.

1969 წ. 22 თებერვალი, მონაკო-პარიზი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, კალკაზე, 2 ფ., 1 კ.

ტოპონიმი: თბილისი.

542. კერძო ხასიათის.

1969 წ. 3 მარტი, ნიუ-დელი-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, ღია ბარათზე, 1 ც.

543. კერძო ხასიათის.

1969 წ. 8 მარტი, ინდოეთი-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, ღია ბარათზე, 1 ც.

544. კერძო ხასიათის.

1969 წ. 13 მარტი, ინდოეთი-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, ღია ბარათზე, 1 ც.

545. კერძო ხასიათის.

1969 წ. 26 მარტი, პარიზი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ღია ბარათზე, 1 ც.

პირი: ირაკლი [ბაგრატიონი].

ტოპონიმი: მადრიდი.

546. კერძო ხასიათის.

1969 წ. 11 ივლისი, მადრიდი-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

547. კერძო ხასიათის.

1969 წ. 26 ივლისი, მადრიდი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, აქვს ელენე მეტრეველის ხელით მიწერილი:

„ირაკლი ბაგრატიონის დედა ბაგრატიონ-მუხრანელი“, 1 ფ.

548. კერძო ხასიათის.

1971 წ. 22 ივლისი, ვენეცია-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, ღია ბარათზე, 1 ც.

549. კერძო ხასიათის დეპეშა.

1971 წ. 15 ოქტომბერი, მადრიდი-პარიზი.

ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

550. კერძო ხასიათის.

1971 წ. 26 ნოემბერი, მადრიდი-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ., 1 კ., ახლავს 1 ფოტო.

551. კერძო ხასიათის.

1972 წ. 6 თებერვალი, მონტე-კარლო-პარიზი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

552. კერძო ხასიათის.

1973 წ. 27 მაისი, მადრიდი-პარიზი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

ტოპონიმი: ლიონი.

553. კერძო ხასიათის.

1975 წ. 20 ივლისი, ბიარიცი-პარიზი.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

ტოპონიმი: მადრიდი.

554. კერძო ხასიათის.

1975 წ. 6 ნოემბერი, მადრიდი-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

555. კერძო ხასიათის.

უთარილო, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

556. კერძო ხასიათის.

უთარილო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, ღია ბარათზე, 1 ც.

პირი: ირაკლი, გიორგი და მარიამ [ბაგრატიონები].

557. კერძო ხასიათის.

უთარილო.

ავტოგრაფი, რუსულ ენაზე, 1 ფ.

პირი: ლეონ ბალეი.

ტოპონიმი: პარიზი.

ბაგრატიონი ირაკლი

558. საყვედურს გამოთქვამს თავის შვილებზე, რომლებიც ქართველობას კარგავენ. ეპატიუება მადრიდში. სწერს, რომ დაამწუსრა მიშა მახარაშვილის გარდაცვალებამ.

1967 წ. 30 იანვარი, მადრიდი-პარიზი.

ნაბეჭდი და ავტოგრაფი, ფრანგულ და ქართულ ენებზე, 1 ფ.

ტოპონიმი: ვენა, ლიონი.

559. ატყობინებს თავისი შვილების ამბებს. ეპატიუება მადრიდში საშობაოდ. აცნობებს, რომ შეიტყო ილამაზ დადუმქელიანისა და [ინა] ჟორდანიას გარდაცვალების ამბავი.

1967 წ. 24 ნოემბერი, მადრიდი-პარიზი.

ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 2 ფ.

პირი: გიორგი, მარიამ და ბაგრატ ბაგრატიონები.

560. აცნობებს, რომ ელოდებიან საშობაოდ. წუხს ილამაზ დადუმქელიანის გარდაცვალების გამო.

1967 წ. 4 დეკემბერი, მადრიდი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ., 1 კ.

561. ატყობინებს თავისი შვილების ამბებს. წუხს, რომ საახალწლოდ არ ეწვია მადრიდში. სთხოვს აცნობოს, სად გადაგზავნოს ჟურნალის გამოსაწერი ფული.

1967 წ. 17 დეკემბერი, მადრიდი-პარიზი.
მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.
პირი: გიორგი, მარიამ და ბაგრატ [ბაგრატიონები].
ტოპონიმი: ლიონი, ვენა,

562. კერძო ხასიათის.

1968 წ. 7 თებერვალი, მონტე-კარლო-პარიზი.
ავტოგრაფი, 1 ფ., 1 კ.
პირი: გიორგი, მარიამ და ბაგრატ [ბაგრატიონები].
ტოპონიმი: რომი, მადრიდი.

563. კერძო ხასიათის.

1968 წ. 6 მარტი, მადრიდი-პარიზი.
ავტოგრაფი, 1 ფ.
პირი: გიორგი, მარიამ და ბაგრატ [ბაგრატიონები].
ტოპონიმი: კანი, მონტე-კარლო.

564. კერძო ხასიათის.

1969 წ. 24 იანვარი, მადრიდი-პარიზი.
ავტოგრაფი, 1 ფ., 1 კ.
პირი: მარიამ ბაგრატიონი.
ტოპონიმი: მონტე-კარლო.

565. სთხოვს ჩაერთოს მის მიერ ჩაფიქრებულ ეროვნულ საქმეში.

1969 წ. 21 აპრილი, მადრიდი-პარიზი.
ავტოგრაფი, კალკაზე, 1 ფ.
პირი: თინა სარჯველაძე, რატიანი.
ტოპონიმი: შირაზი, ლევილი, მიუნხენი.

566. სწერს თავის გეგმაზე – პარიზში დააარსოს სასტუმრო ქართველ მეცნიერთათვის.

1970 წ. 20 იანვარი, მადრიდი-პარიზი.
ავტოგრაფი, 1 ფ.
ტოპონიმი: მონტე-კარლო.

567. აცნობებს, რომ აპირებს პარიზში აავსოს ქართული ეკლესია და სახლი საქართველოდან ჩამოსულ მეცნიერთათვის.

1970 წ. 15 თებერვალი, მადრიდი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ., 1 კ.

პირი: გიორგი, მარიამ, ბაგრატ და ელენე ბაგრატიონები.

ტოპონიმი: მონტე-კარლო, რომი.

568. აცნობს თავის გეგმას და სთხოვს მხარდაჭერას.

1970 წ. 2 მაისი, მადრიდი-პარიზი.

ფრანგულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

569. აცნობებს, რომ უენეციაში შეხვდა ნაილა სულთანს. თვლის, რომ სალიებს ქართველების წინაშე ვალი მოხდილი აქვთ „ბედი ქართლისას“ დაარსებით. ატყობინებს, რომ ზაფხულში ბიარიცში იქნება. სთხოვს „ბედი ქართლისას“ ბოლო ნომრის რამდენიმე ეგზემპლარს.

1972 წ. 23 ივლისი, მადრიდი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ., 1 კ.

პირი: ფლორანს გულდი.

ტოპონიმი: უენეცია.

გამსახურდია თამარ

570. აცნობებს, რომ პაატა გუგუშვილის თხოვნით გაუგზავნა კონსტანტინე გამსახურდიას რამდენიმე წიგნი.

1967 წ. 19 ივნისი, თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ., 1 კ.

571. კერძო ხასიათის

1971 წ. 31 ოქტომბერი, თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფი, 2 ფ., 1 კ.

ტოპონიმი: პარიზი.

572. აცნობებს შოთა მესხიას გარდაცვალებას. სთავაზობს ნეკროლოგის დაბეჭდვას „ბედი ქართლისაში“. სწერს, რომ უგზავნის

შოთა მესხიას ფოტოს და მის „ძლევაი საკვირველს“.

1972 წ. 20 ნოემბერი, თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფი, 2 ფ., 1 კ.

პირი: დ. კაპანაძე.

ტოპონიმი: ყირიმი.

573. კერძო ხასიათის

უთარილი.

ავტოგრაფი, 1.

გოგოლაძე ვ.

574. აცნობებს, რომ მიიღო „ბედი ქართლისას“ ოთხი ნომერი. სწერს, რომ უგზავნის მოთხოვნილი წიგნების ნაწილს, დანარჩენს, როცა მოიპოვებს, მიაწვდის. ჰპირდება „წიგნის მატთანების“ გაგზავნას საინტერესო ლიტერატურის შესარჩევად.

1960 წ. 2 მარტი, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

ეტასი რაიმონდ დე ლა ტურ

575. კერძო ხასიათის.

უთარილო, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

576. კერძო ხასიათის.

უთარილო, პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

577. კერძო ხასიათის დეპეშა.

1972 წ. 8 ივნისი.

ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

ვაჩნაძე დავით (დათა)

578. უგზავნის [ჰენრიკ ჰრინგესკის ნახატის ფოტოასლს. სთხოვს დაპირებულ ლიტერატურას.

1959 წ. 29 სექტემბერი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

ტოპონიმი: სოფელი დიდი ლილო.

ვეკუა ილია და მეტრეველი ელენე

579. აცნობებენ, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტში 1977 წლის 15 თებერვლიდან არსებობს ნინო სალიას კაბინეტი.

უთარილო, [თბილისი-პარიზი].

მანქანაზე ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ქსეროასლი, 1 ფ.

თევზაძე შ.

580. სთხოვს „ბედი ქართლისას“ ნომრების გაგზავნას.

1982 წ. 21 ნოემბერი, სტოკჰოლმი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

იასუ მართა

581. კერძო ხასიათის.

უთარილო, აშშ-პარიზი.

ავტოგრაფი, ინგლისურ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

ლანგი დევიდ

582. აცნობებს, რომ ნაწყენია კალისტრატეს „მეცადინეობით“, წააჩხუბოს იარომინ იედლიჩკას. სთხოვს მათი ურთიერთობების მოგვარებაში დახმარებას.

1960 წ. 26 ივლისი, ლონდონი.

ავტოგრაფი და ნაბეჭდი, ფრანგულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ლილიენფელდი ფერი

583. ატყობინებს, რომ „ბედი ქართლისას“ ბოლო ნომერი არ მიუღია.

1980 წ. 4 დეკემბერი, ერლანგენი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, გერმანულ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ლიჩინი პატრიცია

584. სწერს, რომ უგზავნის თავისი მოხსენების „ვენეციური ხელნაწერი თურქეთის შემოსევის შესახებ საქართველოში“ ტექსტს, რომელიც წაიკითხა ქართული ხელოვნების IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე. სთხოვს მიაწოდოს თავისი შენიშვნები.

1984 წ. 5 მარტი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ლუიჯი მაგაროტო.

მეგრელაძე იოსებ

585. ულოცავს კალისტრატე სალიას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსობას.

1984 წ. თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფი, ღია ბარათზე, 1 ც.

მეტრეველი ელენე

586. თანაგრძნობას უცხადებს კალისტრატე სალიას გარდაცვალების გამო. სწერს, რომ კალისტრატე სალიას არქივი დამუშავდება და ჩაერთვება საარქივო ფონდში.

[1986 წ.], თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, 3 ფ.

პირი: ბერნარ უტიე.

ტოპონიმი: სომხეთი.

587. ატყობინებს, რომ შეიქმნა „კულტურის ფონდი“, რომელშიც გაერთიანდება ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ძეგლები. სწერს, რომ მიიღეს ემიგრანტი მხატვრის – [ფელიქს] ვარლამიშვილის – ნახატების კოლექცია. სთავაზობს, სურვილის შემთხვევაში, თავადაც შესწიროს ფონდს ღირებული ნივთები.

1987 წ. 24 აპრილი, თბილისი-პარიზი.

ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი, ასლი, 2 ფ.

პირი: ლალიძე, ა. თავხელიძე.

588. სწერს გრიგოლ რობაქიძისა და მიხაკო წერეთლის არქივების შესახებ.

1987 წ. 20 აგვისტო, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

პირი: ნელი გაბაშვილი, ზურაბ გელეყვა, ბერნარ უტიე, ვიქტორ ნოზაძე.

ნიკურაძე სანდრო

589. სწერს მიხაკო [წერეთლის] გადასვენების შესახებ.

1972 წ. 6 ივლისი, მიუნხენი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ., 1 კ.

პირი: პილდე.

ჟღენტი ალექსანდრე

590. აცნობებს, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება უგზავნის ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მე-5 ტომს და სხვადასხვა ლიტერატურას საქართველოს შესახებ.

1982 წ. 23 მარტი, თბილისი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

სულივანი რობერტ

591. აცნობებს, რომ კონგრესის ბიბლიოთეკას სურს კალისტრატე სალიას „ქართველი ერის ისტორიის“ შეძენა და სთხოვს დახმარებას.

1983 წ. 16 თებერვალი, ვაშინგტონი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ინგლისურ ენაზე, ხელმოწერილი, 1 ფ.

ტანტანი ლუი

592. კერძო ხასიათის.

1972 წ. 28 თებერვალი, ნიუ-იორკი-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ., 1 კ.

593. კერძო ხასიათის.

1972 წ. 29 ოქტომბერი, მაინი-პარიზი.

ავტოგრაფი, ფრანგულ ენაზე, 1 ფ.

ტოპონიმი: ნიუ-იორკი.

წერეთელი მიხეილ

594. სწერს, რომ გადაწყვიტა, ორგანიზაცია – „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელობა მიანდოს კალისტრატე სალიას. მადლობას უხდის მატერიალური დახმარებისთვის.

1950 წ. 22 იანვარი, მიუნხენი-პარიზი.

ავტოგრაფი, 1 ფ.

აქვს ნინო სალიას მინაწერი: „ეს წერილი მთლად ის არ არის, რომელიც დაგკარგე და რომელსაც ვეძებ. ნინო“.

პირი: ოთარ [წერეთელი].

595. კერძო ხასიათის.

1958 წ. 29 ნოემბერი, მიუნხენი-პარიზი.

ქსეროასლი, 3 ფ.

პირი: [მიხეილ] თარხნიშვილი, სინჯიკაშვილი, ვეფხვაძე, გრიგოლ [რობაქიძე], აკაკი ჩხენკელი, კიტა [ჩხენკელი].

ხარაძე ევგენი

596. მადლობას უხდის სამეცნიერო ბიბლიოთეკისთვის, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტს შესწირა.

1977 წ. 3 იანვარი, თბილისი-პარიზი.

მანქანაზე ნაბეჭდი, ხელმოწერილი, 1 ფ.

597. აცნობებენ, რომ 1977 წლის 15 თებერვლიდან ნინო სალიას წიგნადი ფონდის საფუძველზე ხელნაწერთა ინსტიტუტში დაარსდა ნინო სალიას კაბინეტი.

